გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№67 (962) 25 - 26 ივნისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## პატიმრის დღიური

### როგორ აცემინა თავი ციხის უფროსს ძმის მკვლელზე შურისმაძიებელმა გოჩამ

გვ.7

# „აეროპორტის სკანდალის" უცნობი დეტალები

გვ.2

## რა კავშირი აქვს ნიკა მელიას მამას აზერბაიჯანის საზღვარზე დაკავებულ ფულთან და ვინ არის ფარმან ჯახან ოღლი ჯეირანლი

## ექსკლუზიური ინტერვიუ ალექსი პეტრიაშვილთან

ამუშავებს თუ არა კოალიციაში კონსპირაციულ გეგმას, რას უთვლის ხელისუფლების მიმართ სკეპტიკურად განწყობილებს და რა უსაყვედურა შვილმა, როცა გაიგო, რომ მაღალ პრემიებს იღებდა

გვ.3

რას მოუტანს საქართველოს 27 ივნისს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა

## საქალაქო სასამართლო თიბისი ბანკის სარჩელის განხილვას იწყებს

გვ.7

თიბისი ბანკი TBC BANK

## თემურ შაშიაშვილი დაუმორჩილებლობის იდეით გამოდის

15 ლარად ნაყიდი ხმები და 6 000 არარსებული ამომრჩეველი — როგორ ჩატარდა არჩევნები ქუთაისში და რა ინფორმაცია მიაწოდა „ვერსიას" მერობის კანდიდატმა

## ლიბერთი ბანკის ახალი სერვისცენტრი საგარეჯოში გაიხსნა

გვ.3

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

# „აეროპორტის სკანდალის“ უცნობი დეტალები

## რა კავშირი აქვს ნიკა მელიას მამას აზერბაიჯანის საზღვარზე დაკავებულ ფულთან და ვინ არის ფარმან ჯახან ოღლი ჯეირანლი

გიორგი იაშვილი

**19 ივნისს, საქართველოს პარლამენტის ორი წევრი — ზურაბ ჯაფარიძე და ირმა ნადირაშვილი მაშინ დააკავეს, როცა აზერბაიჯანი-საქართველოს საზღვრის გადმოკვეთას ცდილობდნენ. ოფიციალურად დადასტურდა, რომ პარლამენტარებს ქეშად მილიონ დოლარზე მეტი მოჰქონდათ და ეს თანხა დეკლარირებული არ ჰქონდათ. ჯაფარიძე-ნადირაშვილმა ეს ამბავი მაშინვე ხუმრობაში გაატარეს, აქაოდა, იმის დასამტკიცებლად, რომ პოლიცია გვისმენს, გავითამაშეთ და გოგა ხაჩიძეს დავურეკეთ, ფული მოგვაქვს და ძალოვნები ანკესზე წამოვაგეთო, მაგრამ...**
**აზერბაიჯანში საქართველოს ელჩმა, მებაჟეებმა და იქაურმა მედიამ დაადასტურეს, რომ პარლამენტარებს არადეკლარირებული თანხა მოჰქონდათ და ისინი მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც თანხა დააბრუნეს. ნადირაშვილი და ჯაფარიძე ბაქოში დაბრუნდნენ, აზერბაიჯანის დედაქალაქში კიდევ 6 საათი დაჰყვეს და შემდეგ საქართველოში უკვე ფულის გარეშე დაბრუნდნენ. ის, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ორი ლიდერი შუა არჩევნებისა და მოახლოებული მეორე ტურის პირობებში ბაქოს შემთხვევით არ მიაშურებდა, ფაქტია. და მაინც, რა თანხა მოჰქონდათ პარლამენტარებს აზერბაიჯანიდან და ვისთვის?! ამ თემაზე ნაციონალური მოძრაობის თბილისის მერობის კანდიდატის, ნიკა მელიას მამის, ანზორ მელიას მეგობარი გვესაუბრა. იგი თავადაც შეწუხებულია მომხდარით და ამბობს, რომ ეს ყველაფერი კარგს არაფერს მოგვიტანს.**

**— თქვენ დაგვპირდით, რომ გვეტყოდით, ვისგან და რატომ მოჰქონდათ ეს ფული ნადირაშვილსა და ჯაფარიძეს. გისმენთ.**

— ეს თანხა პარლამენტარებს ფარმან ჯახან ოღლი ჯეირანლმა მისცა ნიკა მელიასთვის გადასაცემად. ფარმანი ანზორის მეგობარია და...

**— უკაცრავად, მაგრამ ისეთი სახელი და გვარი თქვით, არაფერს მეუბნება. ეჭვი მაქვს, ფარმან ჯახან ოღლი ჯეირანლი არც ჩვენს მკითხველს ეცნობა.**

— ეს კაცი არის აზერბაიჯანელი ბიზნესმენი, რომელსაც ინტერესები საქართველოშიც აქვს. მის მფლობელობაშია შპს „ლანცეტი“, სადაც ამჟამად ანზორი მუშაობს. ანზორ მელია და ფარმანი ჯერ კიდევ 90-იანი წლების ბოლოდან მეგობრობენ. მაშინ ანზორ მელია მოსკოვში, ფარმანთან ერთად მუშაობდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

**ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B14049507, 07/05/2014 12:19:11

**სუბიექტი**

| | |
|---|---|
| **საფირმო სახელწოდება:** | შპს ლანცეტი |
| **სამართლებრივი ფორმა:** | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| **საიდენტიფიკაციო ნომერი:** | 404879663 |
| **რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:** | 25/11/2010 |
| **მარეგისტრირებელი ორგანო:** | სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო |
| **იურიდიული მისამართი:** | საქართველო, ქ. თბილისის ვაკის რაიონში, აღმაშენებლის ხეივანი,მე-12 კმ; ნაკვეთი 14/470 |
| **დამატებითი ინფორმაცია:** | |
| ელ. ფოსტა: | info@mclancet.com |

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მიმწოდებელი პირი.

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

**ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა**

- დირექტორი - P3676809, 65022000100, ფარმან ჯეირანლი, აზერბაიჯანი, საქართველო

**პარტნიორები**

| მესაკუთრე | წილი | წილის მმართველი |
|---|---|---|
| P3676809, 65022000100, ფარმან ჯეირანლი, აზერბაიჯანი, საქართველო | 50.0000000% | |
| 45 08 836429, 71 0013352, , ალი აჯი ოღლი ტანრივერდიევი, რუსეთის ფედერაცია | 50.0000000% | |

გულის ტრანსპლანტაციის ფირმაში და ოპერაციებს აკეთებდა. მერე გაირკვა, რომ ეს ფირმა ინდურ კომპანიასთან თანამშრომლობდა. თავის მხრივ კი ინდური კომპანია ადამიანის ორგანოებით უკანონოდ ვაჭრობდა. უფროსი მელია დაჭერილიც კი იყო და სწორედ ფარმანმა უშველა.

**— და რა გაძლევთ საფუძველს იფიქროთ, რომ ფული სწორედ მისი იყო?**

— ჯერ ერთი, შპს „ლანცეტი“, რომლის მფლობელიც ჯეირანლი გახლავთ და რომელსაც საქართველოში ანზორ მელია ამუშავებს, თანხებს აზერბაიჯანში რიცხავს და მეორეც — ნადირაშვილს და ჯაფარიძეს აეროპორტში სწორედ ფარმან ჯეირანლი აცილებდა.

**— თქვენ საიდან იცით?**

— მილიონი პატარა თანხა არ არის. მელიები მოუთმენლად ელოდნენ და ანზორი ყოველ წუთს ურეკავდა ფარმანს. ისიც ეუბნებოდა, ერთად ვართ, აეროპორტში მივედითო. მერე იყო, რომ დარეკა იმან და ბოლო ხმაზე ყვიროდა, ნადირაშვილი და ჯაფარიძე დააკავეს, ფულს გვართმევენო. ფული გადარჩა და ეჭვი მაქვს, სხვა საშუალებებით შემოიტანენ. წინასაარჩევნოდ შავი ფული ნაციონალურ მოძრაობას ძალიან სჭირდება, ხმები რომ იყიდონ.

**— ასე მარტივია ხმების ყიდვა?**

— ნიკა სოლოლაკელი ბიჭია. არაფერი უკვირს, ბირჟაზეც მდგარა, მოძველბიჭო ტიპია და ამ წრეს კარგად იცნობს. დაჭერილიც იყო ერთხელ, ვიღაც ნაშა ცემა და გაუპატიურების ბრალდებით დააკავეს. სიმთვრალე პათოლოგიური აქვს და ამიტომ არ სვამს. ჰოდა, ძველი მეგობრები აამუშავა, ზოგს აშინებენ, ზოგს ყიდულობენ, ზოგთან არათბილისელობის თემას ამუშავებენ და ეგ არის.

**— ხიფათი ახსენეთ. რატომ არის სახიფათო ის, რაც ხდება?**

— ამ მილიონზე არ მაქვს საუბარი. შავი თანხები რომ ტრიალებს საარჩევნოდ, ისედაც ყველამ იცის. ისიც აბსურდია, გაზის ბალონები მოჰქონდათო, მაგრამ საფრთხე ის არის, რომ იმდენად ბინძური ხალხი ტრიალებს ამ ეტაპზე ნიკას გვერდით, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში, თბილისში შეიძლება სამოქალაქო ომი დაიწყოს — ყოფილი თუ მოქმედი ნარკომანები, ე.წ. 90-იანების ელიტა... კაი ბიჭობით რომ უნდათ არჩევნების მოგება და საარჩევნო სლოგანად — ნიკუშა ჩვენი ძმაა — აქვთ. ასე არ შეიძლება. ძლივს დალაგდა ქვეყანა და ახლა უნდა არიონ?

**— და მამა არ ეუბნება შვილს, რომ ამ წრეს ჩამოსცილდეს?**

— ანზორს არავინ არაფერს ეკითხება, მაგას შავი ფულის შოვნა დაავალეს და რაც გამოვიდა, ყველამ გაიგო.

**P.S. შევეცადეთ ფარმან ჯეირანლისთან დაკავშირება, მაგრამ მან ჩვენს ზარებს არ უპასუხა. რაც შეეხება ფირმა „ლანცეტს“, მის შესახებ ინფორმაცია მოვიძიეთ და მართლაც, ეს ბატონი ამ ფირმის 50%-იანი წლის მფლობელი აღმოჩნდა, მეორე ნახევარს კი ასევე აზერბაიჯანელი, ოღონდ რუსეთის მოქალაქე ფლობს.**

# შს მინისტრმა და აშშ-ს ელჩმა ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის შენობა გახსნეს

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე, სასაზღვრო პოლიციის უფროსი, გენერალ-მაიორი ზურაბ გამეზარდაშვილი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ფოთის ბაზაზე საინჟინრო გემთსარემონტო სახელოსნოსთვის საჭირო ტექნიკისა და მცურავი საშუალებების ამწის გადაცემის ოფიციალურ ცერემონიას დაესწრნენ. ღონისძიებაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვეს რიჩარდ ნორლანდმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა.

ღონისძიებას საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ.

იმავე დღეს, შს მინისტრმა და აშშ-ს ელჩმა სანაპირო დაცვის დეპარტამენტის სადგურ „სუფსას“ ტერიტორიაზე შსს-ს ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის ახალი შენობა საზეიმოდ გახსნეს. ღონისძიებაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვეს ალექსანდრე ჭიკაიძემ, რიჩარდ ნორლანდმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა. აღნიშნული ცენტრი, რომელიც ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მაკოორდინირებელი ორგანოა, სანაპირო დაცვის ბაზაზე ჩამოყალიბდა და ერთობლივი მართვის, კონტროლის, კომუნიკაციების, საზღვაო დაკვირვების ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით არის აღჭურვილი. ერთობლივი მართვის ცენტრი საქართველოს საზღვაო სივრცეში არსებული საფრთხეების წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას შეუწყობს ხელს. ცენტრის მთავარი ამოცანაა საქართველოს საზღვაო სივრცეში არალეგალური ქმედებების, საზღვაო ინციდენტებისა და საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმის სერიოზული დარღვევების პრევენცია, აღმოჩენა და აღმოფხვრა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან, როგორც საქართველოს, ისე მთელ რეგიონს.

საქართველოს შს ექსმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და აშშ-ს ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის სადგურ „სუფსას“ ტერიტორიაზე 2013 წელს ჩაუყარეს საძირკველი ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის გახსნას.

***„ვერსიანიუსი“***

# ლიბერთი ბანკის ახალი სერვისცენტრი საგარეჯოში გაიხსნა

ლიბერთი ბანკი ფილიალებისა და სერვისცენტრების ქსელის მოდერნიზებასა და გაფართოებას განაგრძობს. 24 ივნისს, ბანკის დირექტორმა, ზურაბ წულაიამ საგარეჯოში, აღმაშენებლის ქ. №2-ში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სერვისცენტრი გახსნა, რომელიც სრულ საბანკო მომსახურებას გაუწევს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს. სერვისცენტრში შესაძლებელი იქნება ყველა სახის სესხის აღება, საერთაშორისო და ადგილობრივი ფულადი გზავნილების სისტემებით სარგებლობა, სხვადასხვა ტიპის დეპოზიტების გახსნა, კომუნალური გადასახადების დაფარვა.

ლიბერთი ბანკმა ბოლო 5 წლის განმავლობაში 130-ზე მეტი ფილიალისა და სერვისცენტრის მოდერნიზება მოახდინა. ბანკი საქართველოში ყველაზე ვრცელი საბანკო ქსელითაა წარმოდგენილი, რომლის მეშვეობით 1.4 მლნ ფიზიკურ და 69 000-ზე მეტ იურიდიულ პირს ემსახურება.

ლიბერთი ბანკის საბაზრო წილი 2014 წლის მაისის მდგომარეობით, მთლიანი აქტივების მიხედვით 8.0%-ს შეადგენს.

# ექსკლუზიური ინტერვიუ ალექსი პეტრიაშვილთან

რუსუდან შელია
557-100-768

## რას მოუტანს საქართველოს 27 ივნისს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა

**27 ივნისი საქართველოსთვის ისტორიული დღეა — საქართველო ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელს მოაწერს! ხელმოწერამდე რამდენიმე დღით ადრე კი ევროკავშირი სპეციალურ განცხადებას ავრცელებს და ხელმომწერებს შორის უფრო მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობისა და ეკონომიკური ინტეგრაციის გრძელვადიან პერსპექტივებზე საუბრობს. რა კუთხით გააქტიურდება რუსეთი ხელმოწერის შემდეგ და რამდენად მზადაა ხელისუფლება პროვოკაციების პრევენციისთვის? „ვერსიას“ საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილი ესაუბრა.**

— ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური სრულფასოვანი ინტეგრაციის განმსაზღვრელი დოკუმენტია. ერთი მნიშვნელოვანი დეტალია — საქართველოს ევროპელი მეგობრები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა ორმხრივი თანამშრომლობის საბოლოო შედეგი არ არის. დოკუმენტში მითითებული ვალდებულებებისა და დებულებების რეალიზებით, საქართველო რამდენიმე წელინადში მზარდი ეკონომიკით ევროპული და დემოკრატიული სახელმწიფო გახდება. რამდენიმე დამოუკიდებელი და ავტორიტეტული ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, მთლიანი შიდა პროდუქტი 4,6%-ით, ხოლო ევროკავშირში საქართველოს ექსპორტი 11,2%-ით გაიზრდება. ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული მოცულობა, რომელსაც ინვესტიციების სახით მივიღებთ, თუმცა უკვე შემიძლია გითხრათ, ევროპელი ბიზნესმენების დაინტერესება იზრდება. შესაბამისად, უახლოესი სამი წლის განმავლობაში, უცხოური ინვესტიციების სერიოზულ ბუმს ვიხილავთ. განსაკუთრებით ისეთ დარგებში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ტურიზმი...

**— რუსეთის ფაქტორი გავიწყდებათ, რომელიც დიდი ალბათობით, საქართველოს წინააღმდეგ პროვოკაციერებს სწორედ ხელმოწერის შემდეგ გააქტიურებს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ცხინვალში რეფერენდუმი ჩატარდება, რუსეთთან მიერთების თაობაზე. ამ და სხვა საფრთხეების პრევენციისთვის ხელისუფლება მზად არის?**

— ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებისგან მსგავსი ტიპის განცხადებებს სერიოზულად არც მე აღვიქვამ და არც საერთაშორისო თანამეგობრობა. თანაც ე.წ. პარლამენტისგან არაერთხელ მოგვისმენია — რუსეთს უნდა შევუერთდეთო. რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიაც კი ცხინვალის ტერიტორიაზე ტარდებოდა. ჩვენთვის მთავარია, დეესკალაციის პროცესი შევინარჩუნოთ. ის ფაქტიც, რომ ხელმოწერამდე მივედით, უკვე შედეგია. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები მაქსიმალურად უნდა დავარწმუნოთ, რომ შესაძლოა ევროკავშირის სავაჭრო სივრცეში თავისუფალი მიმოსვლით სარგებელი თავად რუსმა ბიზნესმენებმაც მიიღონ. ბუნებრივია, გამოწვევებისთვისაც მზად ვართ. შესაძლოა, რუსეთისგან ქართულ პროდუქციაზე ხელახალი შეზღუდვების, მავთულხლართების გამბისა და ჩვენ მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან მოსახლეობის დაპატიმრების მომსწრე გავხდეთ, მაგრამ მთავარია, პროვოკაციას არ წამოვეგოთ და ჩვენი პრობლემებით მუდმივად საერთაშორისო ყურადღების ცენტრში ვიყოთ. თანაც, თუ საქართველოს წინააღმდეგ სანქციები გატარდება, ჩვენი პარტნიორი ევროკავშირია, რომელიც ქართული პროდუქციის ევროპის ბაზარზე გატანაში სწრაფად დაგვეხმარება.

**— ფაქტია, რუსეთი საქართველოსთან ვაჭრობას ოკუპირებული ტერიტორიებით ცდილობს. „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო პარლამენტის წინადადებაც ამ კონტექსტში ჯდება. ამ პროცესში მმართველი გუნდის პოლიტიკა როგორია?**

— აფხაზები რუსეთთან ან თუნდაც საქართველოსთან მიერთების საკითხს განსხვავებულად უყურებენ. მათ ჯერ კიდევ სწამთ, რომ დამოუკიდებლობის შენარჩუნება შესაძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ ახალმა დე ფაქტო მმართველებმა ევრაზიულ კავშირთან ინტეგრირების სურვილი გააჟღერეს და აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობისთვის საფრთხეების შექმნაზეც ისაუბრეს, შესაძლებელია სწორედ ეს პროცესი გახდეს აფხაზეთში ახალი შიდადაპირისპირების კერა. ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიულ სივრცეში დასაბრუნებლად ორი ხელით მოემართებიან, თუმცა ჩვენ მათ იმავე კეთილდღეობას ვთავაზობთ, რაც საქართველოს მოსახლეობას შეხვდება — უვიზო მიმოსვლა და პროდუქციის შეტანა ევროკავშირის ტერიტორიაზე. საქართველოს პასპორტით აფხაზსა და ოსს შესაძლებლობა ექნება, უვიზოდ იმოგზაუროს შენგენის ზონაში. ეს სერიოზული უპირატესობაა, ამიტომ აქტიურად ვმუშაობთ, რომ ვიზის ლიბერალიზაციაზე მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდეს. ამ კუთხით, ევროკავშირის გადაწყვეტილება გაისად გახდება ცნობილი.

**— ასეთ მნიშვნელოვან პროცესში, თანაც იმ ფონზე, როცა დასავლეთში პრეზიდენტისა და პრემიერის ურთიერთობაზე მწვავე კითხვები დაისვა, რამდენად გამართლებულია, გიორგი მარგველაშვილი ასოცირების ხელშეკრულების ცერემონიას რომ არ ესწრება?**

— ეს ნორმალური პროცესია და სულაც არ არის აუცილებელი, ბრიუსელში სრულიად საქართველოს აღმასრულებელო ხელისუფლება გაემგზავროს. პრეზიდენტი პარაფირების ცერემონიალს დაესწრო, პრემიერ-მინისტრი კი, ხელშეკრულებას მოაწერს ხელს — ყველას თავის ფუნქცია აქვს. ისტორიული დღის აღნიშვნა თბილისშიც იგეგმება, სადაც, დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტიცა და პრემიერიც ხალხთან ერთად იზეიმებენ. ასე რომ, დასავლეთში ქართულ უწყებებში სტაბილურობის კითხვა არ დგას და ვიღაცები ამით მხოლოდ სპეკულაციას ეწევიან. საერთაშორისო პარტნიორებთან ინტენსიური კომუნიკაცია მაქვს და გარწმუნებთ, ყველაზე მეტად მათ რეფორმების განსახორციელებლად ჩვენი მზაობა აინტერესებთ.

**— და მაპ-ზე უარი გერმანიის კანცლერისგან? ეს მზაობა ჯერ არ შეინიშნება?**

— უელსის სამიტის შედეგებზე საუბარი, ჯერჯერობით, ნაადრევია. საქართველომ საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ჩვენ ავიღეთ ვალდებულება და ნატო-ს სწრაფი რეაგირების ოპერაციებში 2015-16 წლებშიც მივიღებთ მონაწილეობას. ამასთან, საქართველო მონაწილეობს ევროკავშირის მისიით ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. ასე რომ, გადაჭარ-

**ამუშავებს თუ არა კოალიციაში კონსპირაციულ გეგმას, რას უთვლის ხელისუფლების მიმართ სკეპტიკურად განწყობილებს და რა უსაყვედურა შვილმა, როცა გაიგო, რომ მაღალ პრემიებს იღებდა**

ბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ დღეს ნატო-სთვის კონტრიბუტორები უფრო ვართ, ვიდრე მომხმარებლები, ამას კი დაფასება სჭირდება, რაც ნატო-ელმა პარტნიორებმაც კარგად იციან. პრეზიდენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დემოკრატიული ტესტიც წარმატებით ჩავაბარეთ და ინსტიტუტების მშენებლობის მხრივაც რეალური პროგრესი გვაქვს. საქართველოსთან გაძლიერებული თანამშრომლობის პაკეტი ნატო-სთან ურთიერთობისას ერთერთი ელემენტი შეიძლება იყოს. არ აქვს მნიშვნელობა, რა დაერქმევა, ამ ეტაპზე, ჩემთვის მნიშვნელოვანია რეგიონში სერიოზული პრობლემების ფონზე საქართველოს უსაფრთხოების განმტკიცების პროცესი დაიწყოს.

**— ირაკლი ალასანიას შეთავაზებაზე ჯეიმს აპატურაისგან კონკრეტული პასუხი მოვისმინეთ — ძალიანაც რომ გვინდოდეს, თავდაცვითი მოწყობილობებით თქვენი უზრუნველყოფა არ შეგვიძლიაო.**

— კონკრეტულად ვერ ვისაუბრებ, თუმცა ირაკლი ალასანიას შეთავაზება ჯერ კიდევ განიხილება. თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებისა და გრძელვადიანი სტაბილურობისთვის ყველა მიმართულებით ვზრუნავთ. ამ მხრივ, პრემიერ-მინისტრთან არსებული უსაფრთხოების საბჭოს ფარგლებშიც სერიოზული კომუნიკაცია გვაქვს. პერიოდულად ვიკრიბებით და არსებული ვითარების შეფასებისას, ახალ ტაქტიკურ ნაბიჯებსაც ვსახავთ. ხაზგასმით ვამბობ, მათ გასაგონად, ვინც საქართველოს მთავრობის საქმიანობას სკეპტიკურად და უიმედოდ უყურებს: არაერთ უმაღლესი დონის შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა, სადაც პრემიერ-მინისტრი საკმაოდ პრინციპულად და მკაფიოდ საუბრობს საქართველოს ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანების დაჩქარების აუცილებლობაზე.

**— ბოლო რამდენიმე დღეა „ხუთი მოღალატე მინისტრის“ თემამ აქტუალობა დაიბრუნა, რომელშიც თქვენ, როგორც ირაკლი ალასანიას გუნდის წევრი, ფიგურირებთ. კოალიციაში კონსპირაციული გეგმა მართლაც მუშაობს?**

— რას ლაპარაკობთ? მეც ვარ? ზოგადად, ჭორაობისთვის არ მცალია — საქართველოსთვის მნიშვნელოვანი შეთანხმების აღნიშვნისთვის ვემზადები, რასაც გარკვეული ღონისძიებები დაუყოვნებლივ უნდა მოყვეს. ამასთან, უამრავი მივლინება მაქვს დაგეგმილი, მათ შორის, ბათუმში, სადაც ჩატარდება კონფერენცია სახელწოდებით „ევროპული გზა“. მასში მონაწილეობას მიიღებენ როგორც პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე და მინისტრთა კაბინეტი, ასევე უცხოეთიდან მაღალი რანგის პირები. რაც შეეხება მოღალატეებს, მიმდინარე პროცესებმა ნათლად დაგვანახა, რომ ჩვენი ქვეყნისთვის გუნდური მოქმედებაა მნიშვნელოვანი. პირადად მეც, როგორც ყოფილი წყალბურთელი, გუნდური თამაშის მომხრე ვარ და ყოველთვის ამ გუნდური პრინციპით ვთამაშობ. ასე რომ, თუ ვიღაც გაურკვეველ თეორიებს ავითარებს, ამისთვის მას დრო აქვს, მე — არა.

**— ამაზე პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი საუბრობს, რომელსაც დიდი ალბათობით, შიდასამზარეულოზე წვდომა ჰქონდა.**

— აღმასრულებელ ხელისუფლებასა თუ საკანონმდებლო ორგანოში შესაძლოა არიან საჯარო მოხელეები, რომლებსაც განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები აქვთ. ეს ხელმძღვანელის გემოვნებაზეა დამოკიდებული, ვის აირჩევს თავის მრჩევლად და თანამშრომლად.

**— სამაგიეროდ, პრემიების გამოწერის თვალსაზრისით, ხელისუფლება ნამდვილად არ მოიკოჭლებს. ცნობილია, რომ თქვენც მიიღეთ სოლიდური პრემია. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლისდღიდან ასეთი ტენდენცია რაზე მიანიშნებს?**

— სამწუხაროდ, ანტიპიარმა ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მართლაც იმუშავა, თუმცა ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი უსამართლო ტყუილიც ითქვა. ასეთია პოლიტიკა და ვერაფერს ვიზამთ. სხვათა შორის, როცა ტელევიზიებში პრემიებთან დაკავშირებული ვიდეორგოლი მუდმივად ტრიალებდა, ჩემმა შვილმაც კი მკითხა — ამხელა პრემიებს რომ იღებ, ჩემი საჩუქრები სად არისო. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. 2013 წლიდან მოყოლებული, მინისტრთა კაბინეტის არც ერთ წევრს პრემია არ მიუღია. ეს მართლაც მანკიერი სისტემა იყო, რომელიც წინა ხელისუფლებისგან მემკვიდრეობით დაგვხვდა. მივიღეთ გადაწყვეტილება, ამან სხვა სახე უნდა მიიღოს. პრინციპულად ვაცხადებ იმასაც, რომ დაბალანაზღაურებადი სახელმწიფო მოხელე ეფექტური ვერ იქნება, მაგრამ პრემიას თავის დანიშნულება უნდა ჰქონდეს და ზემდგომმა უნდა დააჯილდოვოს. კარგია, რომ პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციამ და საჯარო სამსახურის ბიურომ პრემიების გაცემის ახალი წესი განსაზღვრა.

ვერსიანიუსი

## მარგველაშვილმა სააკაშვილის რამდენიმე ბრძანებულება გააუქმა

სსიპ — ფინანსთა სამინისტროს აკადემიის, ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრის შექმნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებები გაუქმებულია.

შესაბამისი აქტები საკანონმდებლო მაცნეში უკვე გამოქვეყნდა. ბრძანებები ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერაა გამოცემული, მათ ძალადაკარგულად კი გიორგი მარგველაშვილი აცხადებს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ფინანსთა სამინისტროს აკადემიისა და მომსახურების სააგენტოს შექმნაზე გამოცემული ბრძანებები ძალადაკარგულად 15 ივნისიდან გამოცხადდა, სსიპ საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრის შექმნაზე კი 13 ივნისიდან. 20 ივნისს დაკარგა ძალა ექსპრეზიდენტ სააკაშვილის კიდევ ერთმა ბრძანებულებამ, რომელიც საქართველოს დაზვერვის სამსახურის ემბლემას, ემბლემის დებულებას და დროშას ამტკიცებდა.

*„პირველი“*

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# მთავრობის ადმინისტრაციამ საჯარო მოხელეთა პრემირების სისტემა განსაზღვრა

## საჯარო მოხელეებს პრემიები ეზღუდებათ!

**საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია საჯარო მოხელეთა ხელფასებისა და პრემიების ერთიან კონცეფციას პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს ხუთშაბათს, 26 ივნისს, მთავრობის სხდომაზე წარუდგენს. ირაკლი ღარიბაშვილის დავალებით, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა მაია ცქიტიშვილმა, მისმა მოადგილემ, ნინო კობახიძემ და საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელმა ეკატერინე ქარდავამ, საჯარო მოხელეთა ხელფასებისა და თანამდებობრივი სარგოების მოქნილი, სამართლიანი განაწილების პრინციპებზე დაფუძნებული და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისი კონცეფცია უკვე შეიმუშავეს. კონცეფციის მიხედვით, საჯარო მოხელე, ხელფასის 100%-ის ოდენობის პრემიას კვარტალში ერთხელ მიიღებს.**

„ვერსიასთან“ საუბრისას, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ, **ნინო კობახიძემ** აღნიშნა, რომ ერთიანი კონცეფცია, რომელიც უკვე შეიმუშავეს, საჯარო სამსახურებში თანამშრომელთა მიღებას, გათავისუფლებას, რანგირებას, დაწინაურებას, პრემიების გაცემას განსაზღვრავს. მისი თქმით, ამავე კონცეფციით, პრემიების გამცემთა ვიწრო წრე და ის პერიოდულობაც განისაზღვრა, რომლის მიხედვითაც პრემია უნდა გაიცეს: **„რაც შეეხება პრემიების გამცემთა ვიწრო წრეს, კონცეფციით, თანამდებობის პირებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, კონკრეტულად რომელ თანამშრომელზე უნდა გასცენ პრემია. მაგალითად, უწყებების ხელმძღვანელები მათი ქვემდებარე უწყებების თანამშრომელთა პრემირების სისტემას განსაზღვრავენ, პრემიერ-მინისტრი — მინისტრებისას, ხოლო იმ უწყებების ხელმძღვანელთა პრემირება, რომლებიც უშუალოდ მინისტრებს არ ექვემდებარებიან, პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით გადაწყდება. ამით ჩვენ გამოვრიცხეთ, თანამდებობის პირმა თვითნებურად, საკუთარ თავს გამოუწეროს პრემია, რისი მაგალითებიც გვქონდა და რაც ძალიან მნიშვნელოვანია ამ კონცეფციაში. მოტივაციის ამაღლების მიზნით, პრემია გაიცემა უკეთ შესრულებული სამუშაოსთვის, რაც უშუალოდ ხელმძღვანელმა უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ და რა მიზნით გასცა პრემია კონკრეტულ თანამშრომელზე და ესეც ერთგვარი ევროპული მოდელია. პრემია გაიცემა კვარტალში ერთხელ და მისი ოდენობა ხელფასის 100% უნდა იყოს. თუ პირობითად, საჯარო მოხელეს 1 000-ლარიანი ხელფასი აქვს, პრემიის სახით, პლუს 1 000 ლარს მიიღებს, ოღონდ კვარტალში ერთხელ ანუ თვეში დაახლოებით 330 ლარს და თანაც იმ შემთხვევაში, თუ მისი ხელმძღვანელი პრემიის გაცემის მოტივაციას დაასაბუთებს“.**

ნინო კობახიძისვე განმარტებით, სხვადასხვა უწყების სპეციფიკიდან გამომდინარე, საჯარო მოხელეთა ერთიან სისტემაში მინიმალური ხელფასების ოდენობაც განისაზღვრება. იმის გამო, რომ ზოგიერთი უწყება მომეტებული საფრთხის ქვეშ მუშაობს, კონცეფციაში ეს ყველაფერი ინდივიდუალურადაა განსაზღვრული. მას შემდეგ, რაც მთავრობის ადმინისტრაცია ახალ კონცეფციას პრემიერ-მინისტრს წარუდგენს, სხვადასხვა უწყებამ, საკანონმდებლო ორგანოს შესაბამისმა კომისიამ, უზენაესმა სასამართლომ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა, ამ კონცეფციის გათვალისწინებით, საკუთარი პროექტები უნდა წარადგინონ. რაც შეეხება საჯარო მოხელეთა ხელფასებს, ნინო კობახიძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ საჯარო მოხელეთა ერთიანი კონცეფციის პრეზენტაცია 1 ივლისს გაიმართება:

**„ეს სრულყოფილი და ხარისხიანი დოკუმენტია. ერთი წლის განმავლობაში მასზე იმუშავა, როგორც ამერიკის, ასევე ევროკავშირის წამყვანმა სპეციალისტებმა და სხვადასხვა საერთაშორისო ჯგუფებმა. ეს არის ამომწურავი დოკუმენტი და 1 ივლისის შემდეგ, მისი პრეზენტაცია ეტაპობრივად, სხვადასხვა უწყებებში დაიწყება. მნიშვნელოვანია, რომ ეს კონცეფცია ევროკავშირის ქვეყნების სტანდარტებს შეესაბამება და ჩვენს რეალობასაც ითვალისწინებს. იმისთვის, რომ ეს მოდელი დაინერგოს, გარკვეული დროა საჭირო. 1 ივლისიდან, სხვადასხვა ინსტიტუტისა და სტრუქტურის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჯარო მოხელეთა ხელფასების ოდენობაც ინდივიდუალურად განისაზღვრება. მთავარი ის არის, რომ აქამდე არ არსებობდა სტრუქტურა და რეგულირების სქემა, რაც უკვე შევიმუშავეთ და ყველა უწყებისთვის ერთიანად ჩამოვაყალიბეთ“.**

ნინო კობახიძის განმარტებით, პრემირების სისტემა უკვე ამუშავდება. საჯარო მოხელეები, კვარტალში ერთხელ, ხელფასის 100%-ის ოდენობის პრემიას მიიღებენ. რაც შეეხება საჯარო მოხელეთა ერთიან კონცეფციას, რომლის პრეზენტაციაც 1 ივლისს შედგება, მისი განხილვა ივლისიდან დაიწყება და სავარაუდოდ, ოქტომბრამდე გასტანს. მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელებს იმედი აქვთ, რომ 2015 წლის დასაწყისში, კონცეფციის სრული ვარიანტი მზად იქნება.



# „საზოგადოებას იმედი გაუცრუვდა, ეს დიდი პოლიტიკური მარცხია“

## რატომ არ მივიდა არჩევნებზე ჰამლეტ ქიპაშვილმა

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებზე გარკვეულ ოლქებში, სამწუხაროდ, ნაკლები აქტივობა იყო და ამ კუთხით, ხელისუფლების მეტი აქტიურობა იყო საჭირო. ამასთან, პრემიერის შეფასებით, საზოგადოებას ხელისუფლების სრული ნდობა აქვს. „ხარვეზებს, რა თქმა უნდა, გავითვალისწინებთ და გამოვასწორებთ, თუმცა ალბათ, წარმოგიდგენიათ, რომ მაღალი აქტივობის შემდეგ, ჩვენი მაჩვენებელი იქნებოდა, ალბათ, 75%-ზე მეტი... ამას ვხსნი იმით, რომ საზოგადოებას აქვს სრული ნდობა ჩვენი ხელისუფლებისა. სპეკულაციები — რომ ესაა გარკვეული სიგნალი, მესიჯი ჩვენი ხელისუფლებისადმი, გარკვეული გაფრთხილება — აბსოლუტურად გადაჭარბებულია. ასეთი შედეგი არც ერთ პოლიტიკურ ძალას, ასეთ დემოკრატიულ ვითარებაში არასოდეს მოუპოვებია“, — აცხადებს ღარიბაშვილი.**

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, **თინა ხიდაშელის** თქმით კი, მნიშვნელოვანი, შესაძლოა, ისაა, რომ 21 მეორე ტური „გვაქვს“ და ეს ამომრჩევლის გზავნილია: **„მოსულ ამომრჩეველს ცოტა დაბნეულობა შეეტყო, რადგან ხმები ძალიან დაფანტულია... ეს არჩევნები ჩვენთვის ნიშნავს, რომ ვართ ყველაზე პოპულარული პოლიტიკური ძალა ქვეყანაში, რომელთან დაკავშირებითაც ამომრჩეველს აქვს კითხვები“.**

არჩევნებზე აქტივობასა და მიღებულ შედეგებთან დაკავშირებით განსხვავებული დამოკიდებულება აქვს ექსპერტთა ნაწილს. „საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის“ დირექტორის, **კახა კახიშვილის** შეფასებით, თუ ხელისუფლება საზოგადოების იგნორირებას გააგრძელებს, დიდი ალბათობაა, ხალხი აქციებზე ვიხილოთ. რაც შეეხება პარლამენტარ ნუგზარ წიკლაურის განცხადებას, რომ შემოდგომიდან საპროტესტო აქციები დაიწყება, კახიშვილი ვარაუდობს, ამ პარტიის მოწყობილი აქციები მასშტაბური ვერ იქნება: **„ნაციონალური მოძრაობის მიერ ორგანიზებულ აქციას დიდი მასშტაბი ვერ ექნება. შესაძლებელია, ნაციონალებმა აქცია ჩაატაროს იმ ადამიანების მონაწილეობით, ვინც უჭერს მხარს; შესაძლებელია, საზოგადოების ნაწილი დაეთანხმოს ნაციონალური მოძრაობის პროტესტის ლოზუნგს, მაგრამ არ მივიდეს“.**

პოლიტოლოგი **ჰამლეტ ჭიპაშვილი**, „ვერსიასთან“ საუბრისას, ამბობს, რომ არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია, რადგან ჩათვალა — საზოგადოება უბრალო სტატისტის როლში აღმოჩნდა, რომელსაც ხელისუფლება ხანდახან არჩევნების წინ გაიხსენებს ხოლმე: **„ხელისუფლება შეეცადა, არჩევნებზე თავისი პოლიტიკური პროდუქცია გაეყიდა, მაგრამ საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ შეიძინა, რადგან უკვე ვადაგასული იყო. ხელისუფლებას ჰგონია, რომ მხოლოდ მისი კიტრია ნამდვილი კიტრი და ხალხმა თვალდახუჭულად უნდა შეიძინოს — ყველა ხელისუფლებას ეს პოზიცია ეკავა, მაგრამ საზოგადოება დაიღალა — ჭამს „კიტრს“ და არ არის ეს კიტრი, სხვა რამაა. ამჯერად, რადგან ამის შანსი გაუჩნდა, ხალხმა უფრო სერიოზულად გამოხატა უკმაყოფილება. გამოხატვის შანსი საზოგადოებას ნაციონალების მმართველობის დროსაც ჰქონდა, მაგრამ მაშინ საარჩევნო გაყალბება ლამის კატასტროფული იყო. ამას ახლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ არა ადრინდელი მასშტაბით, ამიტომ ხელში შეგვრჩა ის, რაც არის — საზოგადოება ხელისუფლების უკმაყოფილოა, ტაშს არ უკრავს იმ დეკლარაციებს, რასაც ახმოვანებს და ყველაფერი არჩევნებზე არმისვლით გამოხატა. წელიწადნახევრის განმავლობაში ყველაზე მარტივ რაღაცას რომ ვერ მოაგვარებ, სამაგიეროდ, გადაჭრი ისეთ საკითხებს, როგორიცაა საკუთარი კაბინეტების მოწყობა, პერსონალური მანქანებისთვის დიდი ფულის ხარჯვა, წარმოუდგენელი რაოდენობის პრემიებისა და ხელფასების გამოწერა, დანამატების უზრუნველყოფა... რომელ საარჩევნო აქტიურობაზე უნდა ვისაუბროთ? გასაოცარია მერის მოვალეობის შემსრულებლის განცხადება, რომ თურმე, კანონის მიხედვით, ხელისუფლებასა და საკრებულოს აქვს შესაძლებლობა, რა რაოდენობის და რამდენჯერაც უნდა, დაირიგოს პრემიები. მგონი, გადაირია ეს ქვეყანა — იმ ავადსახსენებელ საბჭოთა დროს, პრემიები უკიდურეს შემთხვევაში გაიცემოდა, ისიც წლის ბოლოს, თან ხელფასის ტოლი არ იყო, მისი ნახევარი თუ იქნებოდა, დიდი ამბავი ატყდებოდა. დიდი რაოდენობით პრემიების თვეში რამდენჯერმე ჩამორიგება, შეცდომა-გადაცდომა კი არა, დანაშაულია და, როცა ამას რიგითი ამომრჩეველი ხედავს, არჩევნებზე რატომ უნდა წავიდეს? ე.ი. ცდილობ, ჩემზე ფალსიფიცირებული პროდუქცია გაყიდო, რატომ უნდა შევიძინო და ხელი შეგიწყო, ხვალაც იგივე ჩაიდინო? ასე გადაწყვიტა ამომრჩევლის ლამის 65%-მა. ხელისუფლებამ დანაპირები არ შეასრულა, საზოგადოებას იმედი გაუცრუა და ეს დიდი პოლიტიკური მარცხია“.**

# თემურ შაშიაშვილი დაუმორჩილებლობის იდეით გამოდის

## 15 ლარად ნაყიდი ხმები და 6 000 არარსებული ამომრჩეველი — როგორ ჩატარდა არჩევნები ქუთაისში და რა ინფორმაცია მიაწოდა „ვერსიას“ მერობის კანდიდატმა

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**თვითმმართველი ქალაქის, ქუთაისის 125 საარჩევნო უბნის შედეგები დათვლილია და შეიძლება ითქვას, სახელისუფლო კანდიდატი შოთა მურღულია არჩევნების მეორე ტურს წკიპზე გადაურჩა — 50,9 % მიიღო. მეორე ადგილი ნაციონალების კანდიდატმა, ქუთაისის ექსმერმა გიორგი თევდორაძემ დაიკავა 26, 14 %-ით, ხოლო ქუთაისის ექსგუბერნატორი, ნინო ბურჯანაძის საარჩევნო ალიანსის წარმომადგენელი თემურ შაშიაშვილი, 13,5 %-ით მესამე ადგილს დასჯერდა. ბუნებრივია, მერობის დამარცხებული კანდიდატი განაწყენებულია, თუმცა, როგორც თავად ამბობს, გაყალბების უტყუარი ფაქტები აქვს და მათ შესახებ „ვერსიასაც“ უამბობს. მოისყიდა თუ არა „ოცნებამ“ ამომრჩეველი 15 ლარად, ვინ და როგორ ატარებდა ეგზიტპოლებს ქუთაისში და რას აპირებს გაერთიანებული ოპოზიცია 1 ოქტომბრის შემდეგ — „ვერსიას“ „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი ესაუბრება.**

— მოქალაქეთა კავშირის რეფორმატორულმა გუნდმა არჩევნების გაყალბების ისეთი ინდუსტრია შექმნა, რომელიც საკუთარ თავს მუდმივად სრულყოფს და ეს ხერხები უკვე ქვეყნისგარეთაც ინერგება. ჩანს, ასევე აღებული გვაქვს სხვადასხვა განვითარებადი ქვეყნის — აფრიკის, სამხრეთ ამერიკისა და სხვათა მეთოდები და ეს ყველაფერი თავს საქართველოში იყრის. ქუთაისში საკუთარი თვალით ისეთები ვნახე, თუ არჩევნები ამას ჰქვია, სჯობს, ხელისუფლება არა არჩევნების, არამედ დაუმორჩილებლობის გზით შეიცვალოს. თავად ხელისუფლებას მიჰყავს ხალხი და ქვეყანა აქეთ!

**— კი მაგრამ, რა ნახეთ ასეთი, რომ ამხელა გამოცდილების კაცს გაგიკვირდათ?**

— მთელი ის თაიგული, რაც ნაციონალურ მოძრაობას არჩევნებზე ჰქონდა, „ოცნების“ მიერ გადმოტანილი და სრულქმნილია. მაგალითებს გეტყვით: ქუთაისში, რუსთაველის ქუჩაზე, არსებობს მრავალსართულიანი ბინები, №79 და №81, მაგრამ არ არსებობს №79 — ბ19, №79 — ბ1, №81 — ბ3, №81 — ბ11. ეს ოთხივე არარსებული ბინა ერთ პატარა ქუჩაზეა და იქ მკვდარი სულებია ჩაწერილი. ეს მკვდარი სულები კი მათთვის ცოცხლები არიან, ვინც არჩევნებს აყალბებს. ასევე, ნიკეას დასახლებაში 48 საცხოვრებელი ბინაა მითითებული, რომელიც არ არსებობს და იქ რეგისტრირებულია 6 000 ამომრჩეველი. №70 უბანზე 405 ამომრჩეველი მივიდა, 13 ბიულეტენი გაუქმდა, 306-მა ხმა მისცა, 86 ბიულეტენი კი უბრალოდ არსად ჩანს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, ჩვენი აქტივისტი ქალბატონები კი დგანან საარჩევნო უბნებთან, მაგრამ ეს კანონდარღვევა არ არის, უბრალოდ, ჩვენებს აღრიცხავენო. კი მაგრამ, აბა, საარჩევნო კომისიას რა ფუნქცია აქვს, თუ ხელისუფლება არ ენდობა? ამბობენ, ამას სომხური კარუსელი ჰქვიაო, მაგრამ მგონი, ჯერ ჩვენ მოვიგონეთ და მერე ისწავლეს სომხებმა — მოკლედ, იქ ქალბატონების 2 გუნდი იდგა, „ოცნებისა“ და ნაციონალების წარმომადგენლები და „კარუსელს“ ატრიალებდნენ — იღებდნენ შევსებულ ბიულეტენს, აგდებდნენ ურნაში, ხოლო მერე უკან ბრუნდებოდნენ, ცარიელი ბიულეტენებით. მერე საარჩევნო უბანზე გარედან შევსებული ბიულეტენები ისევ შეჰქონდათ. ბევრი ადამიანი ტელეფონით სურათს უღებდა მის მიერ შემოხაზულ ბიულეტენსაც. ეს ორივე ჯგუფი წყნარად და მშვიდად აკეთებდა თავის საქმეს და ერთმანეთს ხელს არ უშლიდა. ქუთაისელი კაცი ვარ და ვიცი, ვინ რას წარმოადგენს — ამდენი ფულიანი, მხედრიონელი, ქურდების ხელისბიჭი და ბონდო შალიკიანთან დაკავშირებული პირი სიაში, რა უბედურებაა?! ერთ-ერთმა ერთი თვის წინ ქუთაისში რესტორანიც იყიდა. მოკლედ, სიებში სულ ფულიანი ხალხია, ვისაც ყველასა და ყველაფრის ყიდვა შეუძლია.

**— ბიზნესმენები ხელისუფლების სიაში თქვენთვის ახალი ამბავია?**

— ჩემი პრეტენზიაც სწორედ ისაა, რომ არაფერი იცვლება. ვეკითხები ხელისუფლებას — ჯერ კიდევ შევარდნაძის მთავრობიდან რომ მოდიან, უშიშროების ის კადრები რომ დაასვი თავზე ქალაქებსა და რაიონებს, ეს გგონიათ დემოკრატია?

**— თქვენსა და გამარჯვებულ შოთა მურღულიას შორის, პროცენტულად, ძალიან დიდი სხვაობაა. ის კონკრეტული მაგალითები, რაც მომიყვანეთ, არჩევნების შედეგებს ცვლიდა?**

— შოთა მურღულია ყველას მხოლოდ ექსპერტი ჰგონია, არადა, ის, ნაციონალ ვახტანგ ბალავაძესთან ერთად, სოროსისგან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი იყო და ნაციონალების წრეში ტრიალებდა. იყო მოქალაქეთა კავშირის დროს, დარჩა ნაციონალური მოძრაობის დროს და ახლა ისევ ხელისუფლებაშია — ესაა მთელი ტრაგედია. მეგონა, პატიოსნად მოვიქეცი, როცა ეს არ ვთქვი, მაგრამ უნდა გამოვსულიყავი და მეთქვა. სინამდვილეში, მოხდა ის, რომ დილიდან 5 საათამდე მისული ამომრჩევლის შედეგებიდან გამომდინარე, 60% მხარს ჩვენ გვიჭერდა. ხოლო საღამოს 5 საათიდან 8-მდე „ოცნებამ“ ხალხი ძალით მიიყვანა უბნებზე და ბოლოს, სხვა შედეგი დაიდო.

**— არჩევნებზე პარტაქტივის მიყვანაში დანაშაულებრივს რას ხედავთ?**

— ეს ყველაფერი არ არის — ქუთაისში 400 ეგზიტპოლი ჩატარდა და სულ 600 ადამიანი გამოიკითხა. საღამოს, როცა გავაკრიტიკე, ყველა ამომრჩეველი არ გამოიკითხა-მეთქი, შემომითვალეს, ჩვენ ყოველ მეშვიდე ამომრჩეველს ვეკითხებოდითო. რომ მეცოდინება, რომ ყოველი მეშვიდე უნდა გამოკითხოს, ძალიან მარტივად, ისე ვიზამ, ეს მეშვიდე ჩემი მომხრე გამოვიდეს! სხვა რამესაც გეტყვით — ხელისუფლებისთვის ხმის მიცემა 15 ლარი ღირდა!

**— ამომრჩევლის მოსყიდვა მძიმე ბრალდებაა — ამის დამტკიცება შეგიძლიათ?**

— მე პირადად მომაწოდეს ეს ინფორმაცია. გარდა ამისა, ერთმა ადამიანმა დამირეკა და მითხრა, დიდი მადლობა, რომ დამასაქმეთ, რაც თქვენ გამოჩნდით მერობის კანდიდატთა შორის, „ოცნებამ“ 1000 კოორდინატორი დაამატაო. კოორდინატორებს 600-600 ლარს აძლევენ, ზედ პრემიას, 200 ლარს უმატებენ, ამ დროს ქუთაისის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად, 40 მილიონ ლარს იპარავდნენ, საჯარო სამსახურებში 2 000-მდე კაცი, საკუთარი ნათესავები, ფიქტიურად ჰყავთ გაფორმებული და კადრებს ასე ბერავენ. ვაშინგტონის მერიაში 400 კაცია და რა გახდა ეს ქუთაისის მერია, სადაც 910 კაცია დასაქმებული?! 600 000 ლარის ოდენობის პრემია ქუთაისის მერიაში 4 თვეში გაიცა და მეტი რაღა ფაქტი გვინდა, რომ დემოკრატიას არ აშენებენ?! ფაქტია, ნაციონალებისა და „ოცნებისთვის“ ყველაზე მიუღებელი კანდიდატი მე ვიყავი და ყველა ჩემს წინააღმდეგ მოქმედებდა. ქალაქის ახალი მერი, მურღულია, ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრის მოადგილე იყო და ნარმანია ყველგან თან დაატარებდა. მერე ეს შოთა მურღულია წავიდა პოსტიდან მინისტრის მოადგილე ახლა მისი ბიძაშვილი თემურ მურღულია გახდა.

**— დიდი ბოდიში, მაგრამ თემურ მურღულია სწორედ თქვენი ალიანსის ლიდერის, ნინო ბურჯანაძის ეკონომიკური პროგრამის ავტორი არ იყო?**

— აი, ახლა მინდა გითხრათ, რომ ყველაზე დიდი ეჭვი პარტიაში სწორედ თემურ მურღულიამ დატოვა: ჯერ ერთი, 26 მაისს საერთოდ ახლოს არ გაკარებია ბურჯანაძესა და კრების არცერთ ლიდერს. ახლა კი ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მოხვდა. ალბათ, გამოსავალი ისაა, ქვეყანა 1-ელ ოქტომბერს ფეხზე უნდა დადგეს და ხელისუფლებაში მოსულებს, საჯაროდ, პუნქტების მიხედვით ათქმევინოს, რას დაგვპირდნენ და რა შეგვისრულეს.

**— განაცხადეთ, რომ ასეთი არჩევნების ჩატარებას ჯობია, ხელისუფლება დაუმორჩილებლობის გზით შეიცვალოს. ამას თუ თქვენი თანაალიანსელი ჯონდი ბაღათურიას მიერ შემოდგომით დაანონსებულ აქციებს დავუმატებთ, ჩნდება კითხვა — რას აპირებთ?**

— 8 ივლისს შეიკრიბება საინიციატივო ჯგუფი, რომელიც შემდგომი მოქმედების სტრატეგიას განიხილავს და ეს არ იქნება პოლიტიკოსების შეკრება. ჩვენ ავიღებთ ბიძინა ივანიშვილის საარჩევნო პროგრამას და შედეგებს გავაანალიზებთ. გასაგებია, რომ მან დაიბრუნა თავისი ქონება, გადაარჩინა ნაციონალური მოძრაობა, მაგრამ რა გააკეთა ხალხისთვის?! რა თქმა უნდა, დღის წესრიგში დადგება ვადამდელი არჩევნების მოთხოვნაც და ამას საფუძვლად სწორედ ეს ობიექტური ანალიზი უნდა დაედოს. ვადამდელი არჩევნების გარეშე ქვეყანას არავითარი მომავალი არ აქვს. თუ მოქალაქეთა კავშირის იდეოლოგია პოლიტიკური ასპარეზიდან არ გაქრება, საქართველოში არაფერი შეიცვლება. ამიტომ გეუბნებით, თუ არჩევნებით წასვლა არ უნდათ, სხვა გზები და მეთოდებიც არსებობს. ამ არჩევნებმა დამარწმუნა, რომ არჩევნების გზით ქვეყანაში ხელისუფლება რეალურად არ იცვლება, რადგან ერთი და იგივე პოლიტიკური ძალა ცვლის ერთმანეთს. თუ ხელისუფლებაში რეალური, ეროვნული პოლიტიკური ძალის მოსვლა გვინდა, როგორც ჩანს, ამას არჩევნებით ვერ გავაკეთებთ!

## ბორჯომის ტყე-პარკში გაუჩინარებული გერმანელი ექსპერტის საძიებო-სამაშველო ფართომასშტაბიანი ოპერაცია ჩატარდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტმა ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკში 8 ივნისს გაუჩინარებული 73 წლის გერმანელი მეცნიერის, ჰანს ჰოეფლეს მოსანახად ფართომასშტაბიანი საძიებო-სამაშველო ღონისძიება ჩაატარა.

საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს ხელმძღვანელობით შეიქმნა 15 სამაშველო ჯგუფი, რომლებმაც ანყურის, ბორჯომის, ხარაგაულისა და ბაღდათის მიმართულებით 15 სხვადასხვა მარშრუტი გაიარეს და ტყე-პარკის ყველა ხეობა დეტალურად დაათვალიერეს.

გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე ჰანს ჰოეფლე გერმანიის საერთაშორისო განვითარების საზოგადოების მოწვევით ესტუმრა საქართველოს. ექსპერტი 7 ივნისს ბორჯომის ხეობაში დასასვენებლად წავიდა. 10 ივნისს „112“-ში მისი დაკარგვის შესახებ შეტყობინება შევიდა. შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო ჯგუფებმა იმავე დღეს დაიწყეს საძიებო-სამაშველო ღონისძიება. გერმანელი მეცნიერის მოსანახად საძიებო ღონისძიება გრძელდება.

*„ვერსიანიუსი“*

## აკრძალული საგნის შენახვა-ტარება-სარგებლობის ფაქტზე 7 მსჯავრდებულს ბრალი წარედგინა

ბრალი მსჯავრდებულებს ა.ა-ს, გ.ო-ს, ც.რ-ს, თ.გ-ს, ი.ბ-ს, ი.ლ-სა და რ.კ.-ს საქართველოს სსკ-ს 378/2-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინათ.

გამოძიების თანახმად, სასჯელაღსრულების 14 დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული ა.ა. საკანში მისივე მომზადებულ, აკრძალულ ალკოჰოლურ სასმელს, ე.წ. ბრაგას ინახავდა, რომელიც დაწესებულების თანამშრომლებმა შემოწმება-დათვალიერებისას ამოიღეს.

აკრძალული მჭრელი საგანი — კუსტარულად დამზადებული ლითონის ფირფიტები ამოიღეს სასჯელაღსრულების №15 დაწესებულების თანამშრომლებმა მსჯავრდებულ გ.ო.-ის საკნიდან.

ქარხნული წესით დამზადებული მექანიკური საპარსი მოწყობილობის დაშლის შედეგად მიღებულ ბასრ საგანს ინახავდნენ და ატარებდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №2 დაწესებულების მსჯავრდებულები ი.ლ. და რ.კ.

სასჯელაღსრულების N15 დაწესებულების მსჯავრდებული თ.გ. სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ბენზოდიაზეპინების ჯგუფში შემავალი ფსიქოტროპული ნივთიერებით სარგებლობდა, რომლის მოხმარებაც ნარკოლოგიური შემოწმების სამსახურში ლაბორატორიული გამოკვლევისას დაუდგინდა.

ამავე დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული, ც.რ. ფარულად ინახავდა და ატარებდა კუსტარულად დამზადებულ აკრძალულ საგანს — ბანქოს, რომელიც დაწესებულების თანამშრომლებმა მსჯავრდებულის პირადი შემოწმება-დათვალიერებისას ამოიღეს.

რენტგენის სურათებისთვის განკუთვნილი ფირების გამოყენებით დამზადებული თვითნაკეთი ბანქო ჩამოერთვა №14 დაწესებულების მსჯავრდებულ ი.ბ.-ს.

აღნიშნული მუხლით ჩადენილი დანაშაული, სასჯელის სახით, სამ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

*„პირველი“*

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# უცხოური ინვესტიციების ზრდას ხელს სასამართლო სისტემა უშლის?!

## ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას სასამართლო რეფორმა, სამინისტროებისა და სსიპ-ების გაუქმება, ადმინისტრაციული ხარჯის შემცირება სჭირდება!

**იმისთვის, რომ ქვეყანაში ინვესტიციების რაოდენობა გაიზარდოს, ეკონომიკა განვითარდეს და სამუშაო ადგილები შეიქმნას, აუცილებელია, სახელმწიფომ ბიზნესთან ურთიერთობა დაალაგოს. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ემზარ ჯგერენაია „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში ამბობს, რომ უცხოელი ინვესტორები საქართველოს სასამართლო სისტემას არ ენდობიან და შესაბამისად, ინვესტიციების ჩადებასაც ამ მიზეზით ერიდებიან. თვეებისა თუ წლების განმავლობაში გაჭიანურებული ბიზნესდავები, დაყადაღებული ქონება და კომპანიების ანგარიშები, ის ძირითადი პრობლემაა, რაც ინვესტორებსაც აფრთხობს და ადგილობრივ ბიზნესმენებსაც. გამოსავალი სასამართლოს რეფორმაა — პარლამენტის შესაბამისმა კომიტეტებმა, იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები უნდა შეიმუშაონ, რათა პრობლემა საკანონმდებლო დონეზე გადაწყდეს.**

— სასამართლო ხელისუფლების სრულყოფის თვალსაზრისით, საქართველო უზარმაზარი გამოწვევის წინაშე დგას. სიმბოლურია, რომ სწორედ ახლა, თბილისში მიმდინარეობს კონფერენცია, რომელიც სასამართლო სისტემის სრულყოფას ეხება. არც ერთი ქართველი ექსპერტი არ ამბობს, რომ რეალურად, არსებული სასამართლო სისტემა, ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვასა და ბიზნესის განვითარებას აფერხებს. სასამართლო, რომელიც თითქოსდა თავისუფალია, წარმოუდგენლად აჭიანურებს კომერციულ დავებს, საქმეს წარმოებაში დროულად არ იღებს და თუ მიიღო, განხილვას აჭიანურებს. როგორც ეკონომისტი, იმ განცხადებების გამო შევშფოთდი, რაც კონფერენციაზე უცხოელი ინვესტორებისგან მოვისმინე. ისინი ამბობენ, რომ არც ერთი ინვესტორი არ შემოვა საქართველოში, თუ ამ ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებს არგუმენტებით არ დაადასტურებს. მარტივად რომ ვთქვათ, ყველაზე დიდი პრობლემა სასამართლოს მიერ კომპანიების ანგარიშების დაყადაღებაა. კატასტროფული მდგომარეობაა — საქართველოში ბიზნესი არ არსებობს, სასამართლო დავა არ ჰქონდეს. ასეთმა ვითარებამ, ბაზრის შიგნით თაღლითი მეწარმეების პარპაშიც კი წაახალისა. ეს თაღლითი ბიზნესმენები ტენდერებსაც იგებენ და სახელმწიფოს მფარველობის ქვეშაც არიან. მიუხედავად იმისა, ათობით სასამართლო დავა აქვთ, ხელი არ ეშლებათ, მაგალითად, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ თითქმის ყველა ტენდერში გაიმარჯვონ. ფაქტია, სასამართლო ხელისუფლება ბიზნესის განვითარებასა და ინვესტიციების რაოდენობას აფერხებს. ეს ემზარ ჯგერენაიას განკერძოებული აზრი არაა, ასე უცხოელი ინვესტორები ფიქრობენ!

**— რა უნდა გააკეთოს მთავრობამ, როცა სასამართლო დამოუკიდებელია?**

— სასამართლოების, ბანკებისა და მარეგულირებელი კომისიების დამოუკიდებლობამ და პირიქით, ამ ინსტიტუტების სისტემებად ჩამოყალიბებამ, უარესი შედეგი მოგვიტანა. მივეჩვიეთ, რომ მათი კრიტიკა არ შეიძლება, რადგან ქვეყნის ეკონომიკა დაირღვევა, არადა უკვე დარღვეულია. ხელისუფლებამ სასამართლო სისტემის რეფორმა უნდა მოახდინოს — ისეთი საკანონმდებლო ბაზა უნდა შექმნას, რომელიც სასამართლოს საქმის წარმოებაში მიღებისა და განხილვის მკაცრ რეგლამენტს დაუწესებს; მეტიც — კანონში უნდა გაიწეროს, რომ სასამართლოს, სერიოზული დასაბუთების გარეშე, ამა თუ იმ კომპანიის ანგარიშების დაყადაღების უფლება არ ჰქონდეს. არ ვამბობ, რომ სასამართლო არაფერს აკეთებს ან სამართლის აღდგენა არ ხდება, რადგან დაჩაგრული ბიზნესმენები დღემდე ელიან კონკრეტულ გადაწყვეტილებებს და ესეც პრობლემაა. როცა უცხოელი ინვესტორი მეუბნება, ამა თუ იმ ბიზნესმენს ქონება რომ წაართვეს, რატომ არ უბრუნებენო, პასუხი არ მაქვს. თქვენთან სასამართლო ხომ არის, ეს ბიზნესმენები რატომ არ ჩივიანო? მორიგი კითხვა ასეთია და არც ვიცი, რა ვუპასუხო. აი, ამიტომ არ შემოდიან უცხოელი ინვესტორები საქართველოში და შედეგად, ქვეყნის ეკონომიკა ზარალდება, რის გამოც უმუშევრობის დონე მატულობს. შენობის გარემონტება და მანტიის მოსხმა არ ნიშნავს, რომ სასამართლოში ყველაფერი რიგზეა.

**— ქვეყნის ეკონომიკას მხოლოდ სასამართლო სისტემა ანგრევს და სხვა მხრივ ყველაფერი რიგზეა?**

— არა, ეს პირველი, ძირითადი მიზეზია. ქვეყნის ეკონომიკას გაბერილი ბიზნესინსტიტუციებიც ანგრევს. არც ერთი ბიზნესი არ უნდა იყოს იმდენად დიდი, მისი წაბორძიკება ქვეყნის ეკონომიკას დაემუქროს. კარგა ხანია მსოფლიოს ეს პრობლემა აწუხებს და ეკონომისტები ამას თანამედროვე ტერმინით, სისტემურ ბიზნესს ვუწოდებთ. ეს პრობლემა ჰქონდა აშშ-ს, კანადას, ინგლისს, რომლებმაც სისტემურ ბიზნესთან დაკავშირებით, კანონი მიიღეს და გაბერილი ბიზნესინსტიტუციები დაშალეს. ხშირად მსმენია, თავისუფალი ბაზარია, ნუთუ არ გიხარია, ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი, ფინანსური ინსტიტუტი საქართველოში რომააო. კარგი რაც არის, ყველაფერი მახარებს, მაგრამ არ შეიძლება, ერთი ინსტიტუტის ხელში იყოს ენერგეტიკა, დაზღვევა, მშენებლობა, ვაჭრობა, ფინანსები... ჩვენც უნდა მივიღოთ ზომები, რომ ასეთი ძროხა-ინსტიტუტები დავშალოთ და ქვეყანას სისტემური კრიზისი ავარიდოთ! პარალელურად, მთავრობაც კომპაქტური, ოპტიმალური და პატარა უნდა იყოს. ამდენი სამინისტრო არაა საჭირო. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უნდა გავაუქმოო. ეს სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა, მაგრამ აღარ შესრულდა. პირველ რიგში, სწორედ ამ სამინისტროს გავაუქმებდი და ენერგეტიკის სამინისტროს შევუერთებდი. იგივე პრინციპით დავშლიდი სხვა სამინისტროებსაც. ადმინისტრაციული ხარჯებიც მძიმე ტვირთია სახელმწიფოსთვის. მინისტრს მაქსიმუმ ორი მოადგილე და მინიმალური აპარატი უნდა ჰქონდეს. ბიუჯეტის კანონის შესაბამისად, ანაზღაურების ერთიან სისტემას შემოვიღებდი. ოღონდ, არც ბონუსების სისტემას გავაუქმებდი. პრემიას ეფექტური მენეჯმენტისთვის დავაწესებდი და წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს გავცემდი, როცა სამინისტრო საქმიანობას შეაჯამებდა და ექსპერტებიც დაადასტურებდნენ, რომ ბონუსს იმსახურებენ. წლის განმავლობაში ეს იქნებოდა სერიოზული და მნიშვნელოვანი ჯილდო ორი-სამი სამინისტროსთვის, რომლებმაც იმ კონკრეტულ წელს სერიოზული გადატრიალება განახორციელეს საკუთარ უწყებებში. წელს, მაგალითად, ამ ჯილდოს ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს გადავცემდი, რომელმაც დაზღვევის სისტემის ეფექტური ორგანიზება მოახდინა და მინიმალური დანახარჯით, მაქსიმალური შედეგი მიიღო. სახელმწიფო სამსახურებში დღეს არსებული შტატების რაოდენობა, 20%-25%-ით უნდა შემცირდეს. სამინისტროები პოლიტიკისა თუ თამაშის წესების შექმნის საკითხებს უნდა დაუბრუნდნენ და სამეურნეო საქმიანობას თავი დაანებონ. მერწმუნეთ, ამ ხარჯების შემცირება ქვეყნის ეკონომიკას წაადგება. როცა ქვეყანას უჭირს, წარმოუდგენელია ასეთი გაბერილი შტატები და ამ რაოდენობის ადმინისტრაციული ხარჯი — ეს ანგრევს ეკონომიკას! შემდგომი მიმართულებაა თავისუფალი ბაზარი და ხაზგასმით ვამბობ — დღეს ბაზარი თავისუფალი არ არის...

**— თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო ხომ შეიქმნა, რომელსაც კანონმდებლობით ჯერ კიდევ აქვს ვადა სტრუქტურის დასახვეწად?**

— კანონმდებლობით გაწერილ ვადაში ამ სააგენტომ დებულებები და ქვენორმატიული აქტები უნდა შექმნას, რათა არსებული კანონები ამუშავდეს. თუ ეს ორგანო ისევ 20-კაციანი შტატით იარსებებს, საქმეს ვერ გააკეთებს. ეს უნდა იყოს ორგანო, რომელსაც უცხოელი ექსპერტების მოწვევის უფლება ექნება, მთავარი ესაა და არა ინსტრუქცია! ამ სააგენტოს პრინციპი ბაზრის თავისუფლების უზრუნველყოფა უნდა იყოს და არა კონკრეტული მეწარმეების დასჯა. კიდევ ერთი პრობლემა, რაც ინვესტიციების რაოდენობის ზრდას უშლის ხელს, ინოვაციების არარსებობაა. ეს ნიშნავს, რომ არ არსებობს მთლიანი ხედვა, რომლითაც ესა თუ ის პროგრამა განხორციელდება და ამ პროგრამაზე წვდომის უფლება, თუნდაც მცირე ან საშუალო ბიზნესს ექნება. გამუდმებით გვესმის მცირე, საშუალო, მსხვილი ბიზნესის ხელშეწყობა, არადა, სიტყვების გარდა, მათი დეფინიცია საერთოდ არ გვაქვს. არაფრით განსხვავდება მცირე და მსხვილი ბიზნესის დაბეგვრის რეჟიმი. აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილება. არ იფიქროთ, რომ რაიმე ტიპის საგადასახადო შეღავათს ვგულისხმობ! მხედველობაში მაქვს საგადასახადო დიფერენცირება. ისეთი საკანონმდებლო ცვლილებაა საჭირო, რომელიც მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის დაბეგვრის რეჟიმს განასხვავებს, ასევე, უნდა განსხვავდებოდეს მათი საბიუჯეტო ვალდებულებები და სააღრიცხვო სისტემა. ამ ყველაფრის გარეშე, შეუძლებელია, რეალური ხერხემლის აშენება, რომელზეც საქართველოს ბიზნესის სასახლე უნდა ავაშენოთ, რადგან ბიზნესსასახლეს თავისუფალი ქვეყანა, გონივრული რეგულირებით აშენებს. ამ ტიპის სტრუქტურული ცვლილებები უკვე ივლის-აგვისტოდანვე უნდა დაიწყოს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან გაგვიჭირდება.

**— ეკონომიკური პროფილის მინისტრების მრჩეველთა საბჭოს წევრი ბრძანდებით. რა რეაქცია აქვთ, როცა ამ პრობლემებზე ესაუბრებით?**

— განსხვავებული! როცა ვსაუბრობთ, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ-ი) რაოდენობა უნდა შემცირდეს და მათი ბიუჯეტებიც გადასახედია, ფინანსთა მინისტრი თანახმაა, სხვა მინისტრები — არა. ეკონომიკის მინისტრი მომხრეა, ინსტიტუციონალური რეფორმა განხორციელდეს და კომპაქტური მთავრობა გვყავდეს, მაგრამ სხვა მინისტრები, რომელთა ძალაუფლება მათ მიერ მიღებულ რეზოლუციებშია, კატეგორიულად გვეწინააღმდეგებიან. პოზიციები განსხვავებულია, ამიტომ ეს საკითხები ერთიანი რეფორმირების საერთო გეგმის ფარგლებში, პრემიერ-მინისტრმა უნდა გადაწყვიტოს.

**— თუკი ფინანსთა მინისტრი თანახმაა, ბიუჯეტის ხორცმეტი — სსიპ-ები გაუქმდეს, როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ მაგალითად, გარგარს სწორედ ნოდარ ხადურის უწყება ყიდის, რაც „ვერსიას“ თავადაც დაუდასტურა?**

— გარგრის თემა მართლაც ანეკდოტად იქცა, მაგრამ მთლად ასეც არ არის. ფინანსთა სამინისტროში რამდენიმე სტრუქტურაა. მარტივად აგიხსნით: ვთქვათ, საზღვარზე, უკანონოდ, კონტრაბანდული გზით შემოტანილი ხიზილალა ჩამოგართვეს. სად უნდა წაიღოს იგი სახელმწიფომ? თუ მავნე ნივთიერებებს შეიცავს, ან მასში ნარკოტიკია დამალული, უნდა გაანადგუროს. თუ ნორმალურია, სახელმწიფომ მისი რეალიზაცია უნდა განახორციელოს და შემოსავალი ბიუჯეტში შეიტანოს. ფინანსთა სამინისტროა ის უწყება, რომელიც ამ ტიპის საქონლის რეალიზებას მოახდენს. იგივე ვითარებაა, როცა მაგალითად, საგადასახადო დავის დროს, ფინანსთა სამინისტრომ სადაო ქონება გირაოში ჩადო, მაგრამ ვერ შეძელით და გირაო დროულად ვერ გადაიხადეთ. ქონება ფინანსთა სამინისტროს რჩება, რომელმაც ის აუქციონის წესით უნდა გაყიდოს. არის მესამე ვარიანტიც — თქვენ, როგორც გადამხდელმა, უარი თქვით საკუთარ ქონებაზე და სახელმწიფოს ჩააბარეთ. ის ფინანსთა სამინისტროს ბალანსზე აღირიცხება. ყბადაღებული გარგრის თემაც სწორედ აქედან მოდის — ბიძინა ივანიშვილმა, მის საკუთრებაში არსებული სასათბურე მეურნეობები სახელმწიფოს, ანუ ფინანსთა სამინისტროს ბალანსზე არსებულ მომსახურების სააგენტოს გადასცა. მათ შორის ის მეურნეობებიც, სადაც გარგარი მოჰყავთ. ეს არ ნიშნავს, რომ ფინანსთა სამინისტრო სამეურნეო საქმიანობას ახორციელებს. სამაგიეროდ, ლტოლვილთა სამინისტრო რომ დევნილებისთვის სახლებს აშენებს, ეს სამეურნეო საქმიანობაა და დაუშვებელია! სამინისტრომ ტენდერი უნდა გამოაცხადოს და ეს სახლები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა ააშენოს.

ვერსიანიუსი

## საქართველოს ჰიდროენერგეტიკულ პოტენციალს შეისწავლიან

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი ქვეყნის მასშტაბით შეუსწავლელი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ათვისების გეგმას ამუშავებს.

გეგმის მიხედვით, მდინარეების წყალშემკრებ აუზებს ეტაპობრივად შეისწავლიან და შეუსწავლელ პოტენციალს გამოავლენენ.

ენერგეტიკის განვითარების ფონდის ინფორმაციით, კვლევის მთავარი მიზნებია: წყალშემკრები აუზების, მდინარეების ათვისების გენერალური გეგმების შემუშავება; ადგილობრივი ჰიდრორესურსების მაქსიმალური ათვისება; ჰიდრორესურსების კომპლექსური გამოყენება; მცირე და საშუალო ჰესების კასკადების შექმნა; რეზერვუარების შექმნა პოტენციალის მაქსიმალური ათვისებისა და შემდგომ ელექტროენერგიის გამომუშავების რეგულირების მიზნით; ელექტროსადგურების განვითარებისას დროს გარემოსდაცვითი საკითხების მაქსიმალური გათვალისწინება და ოპტიმიზაცია.

როგორც ფონდში აცხადებენ, მოცემული კვლევა იძლევა საშუალებას, შემუშავდეს აუთვისებელი ენერგეტიკული პოტენციალის მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმა, რომელიც გაითვალისწინებს საინჟინრო ღონისძიებებს და მათ პრაქტიკულ შესრულებას. საპროექტო სამუშაოების ფარგლებში გათვალისწინებული იქნება: კომპლექსური სქემების შემუშავება, ერთგვაროვანი ნაგებობებისა და მოწყობილობების გამოყენება (მაგალითად სერიული წარმოების) და მათი დადებითი გავლენა პროექტის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე; ადგილობრივი მასალისა და რესურსის გამოყენების საშუალებები.

პირველ ეტაპზე მდინარე რიონის აუზს შეისწავლიან.

*bpn.ge*

# საქალაქო სასამართლო თიბისი ბანკის სარჩელის განხილვას იწყებს

**25 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლო, გაზეთ „ასავალ დასავალის“ წინააღმდეგ, თიბისი ბანკისა და მისი დამფუძნებლის, მამუკა ხაზარაძის მიერ შეტანილი სარჩელის განხილვას იწყებს. სარჩელი გაზეთის მიერ ბანკისა და მისი დამფუძნებლის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი და ცილისმწამებლური პუბლიკაციების სისტემატურ გამოქვეყნებას უკავშირდება. მოსარჩელე, „ასავალ დასავალის“ მიერ გამოქვეყნებული ცრუ ინფორმაციის უარყოფასა და მორალური ზიანის სახით, 160 000 ლარის ანაზღაურებას ითხოვს, რომელიც ბანკის გადაწყვეტილებით, თავისუფალი ჟურნალისტიკის განვითარებას მოხმარდება.**

## ოთხი თვეა, გაზეთის ბრალდებებს ბანკის წარმომადგენლები შეგნებულად არ პასუხობენ!

თიბისი ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის, მაია ძირკველიშვილის განმარტებით, თიბისი ბანკმა სარჩელით სასამართლოს მიმდინარე წლის 21 თებერვალს მიმართა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებისთვის ღია განცხადებაც გააკეთა. მაია ძირკველიშვილის თქმით, გაზეთი ოთხი თვის განმავლობაში, ბანკისა და მისი დამფუძნებლის წინააღმდეგ, მიზანმიმართულ და ცილისმწამებლურ კამპანიას კვლავ განაგრძობდა: **„ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ოთხი თვის განმავლობაში, თიბისი ბანკი შეგნებულად იკავებდა თავს და არავითარი განცხადება არ გაგვიკეთებია გაზეთის მიერ წარმოებულ ბინძურ საინფორმაციო კამპანიაზე. შეგნებულად ვიკავებდით თავს პასუხის გაცემისგან, რადგან საკუთარი სახელისა და რეპუტაციის დასაცავად, თავიდანვე სამართლებრივი გზა ავირჩიეთ. ამჯერადაც ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ თიბისი ბანკი უკომპრომისოდ აგრძელებს სიცრუისა და ცილისწამების წინააღმდეგ ბრძოლას. გვჯერა, რომ სასამართლო ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს“.**

მაია ძირკველიშვილის თქმით, გაზეთმაც და ასევე სიცრუის კამპანიაში ჩართულმა რესპონდენტებმაც, პასუხი უნდა აგონ იმ უპასუხისმგებლო განცხადებებზე, რაც ამ ოთხი თვის განმავლობაში, არაერთ სტატიაში აისახა. მაია ძირკველიშვილი ამბობს, რომ ამ ტიპის პუბლიკაციების მიზანი, მხოლოდ და მხოლოდ სხვისი რეპუტაციის, პატივისა და ღირსების შელახვაა და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების ფუნქციასთან საერთო არაფერი აქვს.

თიბისი ბანკისა და მისი დამფუძნებლის, მამუკა ხაზარაძის ინტერესებს სასამართლოში ადვოკატები, ზვიად კორძაძე და ქეთი ქვარცხავა იცავენ. ზვიად კორძაძის განცხადებით, ოთხი თვის განმავლობაში, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, გაზეთისგან საპასუხო, სამართლებრივ მტკიცებულებებს ელოდნენ, მაგრამ გაზეთისა და სხვა მოპასუხეების მიერ, სასამართლოში არავითარი მტკიცებულება არ არის წარდგენილი, რაც მათსავე პოზიციებს გაამყარებდა:

**„მოწინააღმდეგე მხარემ მხოლოდ შესაგებელი სარჩელი წარადგინა. ამით ცდილობენ დაადასტურონ, რომ ეს მათი მოსაზრებებია და ამ ხნის მანძილზე, ფაქტებს ავრცელებდნენ. ჩვენ მზად ვართ დავამტკიცოთ, რომ ეს ფაქტები კი არა, ცილისწამებაა, რაც ბანკისა და მისი დამფუძნებლის ღირსებას ლახავს. ერთ-ერთ სტატიაში წერდნენ, თითქოს 1989 წელს, მამუკა ხაზარაძემ მერაბ კოსტავას ხელი დაარტყა და დარბევაში მონაწილეობდა. ვისაც ეს პერიოდი ან თუნდაც მერაბ კოსტავა ახსოვს, დამეთანხმება, რომ მასზე ხელის აწევას ვერავინ გაბედავდა. მამუკა ხაზარაძეს კი არა, ნებისმიერ სხვას რომ გაებედა და მერაბისთვის ხელი დაერტყა, წარმოუდგენელი რამ მოხდებოდა. ერთხელ დაიწერა ეს აბსურდი და ახლაც გრძელდება... მამუკა ხაზარაძეს უნდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ, სიმართლე გაირკვეს“.**

ქეთი ქვარცხავას განმარტებით, სიტყვისა და აზრის თავისუფლება, საზოგადოების დემოკრატიული განვითარების საფუძველია. ამავდროულად, არსებობს ადამიანის ღირსება, პატივი და საქმიანი რეპუტაცია, რასაც ყველამ პატივი უნდა სცეს. მისი თქმით, პირის პატივისა და ღირსების წინააღმდეგ ინფორმაციის გავრცელებას, ანგარიშსწორებისა და სიძულვილის რეალიზაციას, საერთო არაფერი აქვს სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან. ქეთი ქვარცხავამ აღნიშნა, რომ თიბისი ბანკი და მისი დამფუძნებელი მამუკა ხაზარაძე, სიტყვის თავისუფლებას არ ებრძვიან. პირიქით, თანხა, რომელიც გაზეთ „ასავალ დასავალისგან“, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მოითხოვეს, სწორედ მედიის განვითარებას მოხმარდება.

*მაია მიშელაძე*



# როგორ აცემინა თავი ციხის უფროსს ძმის მკვლელზე შურისმაძიებელმა გოჩამ

პატიმარი №0578

**გოჩა ბავშვობაში კიბიდან ჩამოვარდა და თავით დაეცა. ზოგი ამბობდა, ამის შემდეგ ბიჭს რაღაც დაერღვა და გაგიჟდაო, ზოგი იმას ამტკიცებდა, რა გიჟი, ჩვეულებრივი ბიჭიაო... ერთი ეგ იყო, ამ ამბის შემდეგ გოჩა გულჩათხრობილი გახდა. მამამისს და თავის უფროს ძმას ყველაფერში ეხმარებოდა და მთელმა სოფელმა იცოდა, რომ მას მეზობლის გოგო, ქრისტინე უყვარდა...**

**2008 წელს გოჩას ძმა სოფელში სტუმრად მყოფმა თბილისელმა ბიჭმა კამათის დროს მოკლა და მიიმალა. დიდი ვაი-ვიშით დაკრძალეს გოჩამ და მისმა მშობლებმა 25 წლის ვაჟკაცი. მის საფლავზე დაიფიცა გოჩამ, სანამ მკვლელს არ ვიპოვი, წვერს არ გავიპარსავო...**

**2010 წელს იმავე სოფელში ქორწილი იყო. პატარძალი ადგილობრივი გახლდათ, სიძე — თბილისელი და შესაბამისად, დედაქალაქიდან მაყარი მრავლად იყო ჩასული. ჩასულთა ყურადღება წვეროსანმა ბიჭმა მიიპყრო, საერთო მხიარულებაში არ ერეოდა, იდგა და უყურებდა, როგორ ცეკვავდნენ და მღეროდნენ სხვები.**

— ეს ვინ არის, მღვდელია? — იკითხა ერთმა სტუმარმა.

— არა, ეს ჩვენი სოფლელია. დაიფიცა, სანამ ძმის მკვლელს არ ვიპოვი, წვერს არ გავიპარსავო და დადის ასე, გაბურძგნული. მთავარი კი ისაა, რომ მკვლელს სახეზე არ იცნობს და ისედაც, ცოტას უბერავს მგონი. ის მკვლელი დიდი ხანია ევროპაში წავიდა და სად იპოვის ეს?

როგორც ხშირად ხდება ხოლმე ქართულ ქორწილებში, ჩხუბი აქაც ატყდა. გოჩა მშვიდად იდგა და არ ერეოდა. რამდენიმე ბიჭი მაგრად გაილახა, გოჩა მათი იარების მობანით იყო დაკავებული. უცებ, ერთ-ერთმა სხვებს თვალი ჩაუკრა, გოჩას მიუახლოვდა და ჩასჩურჩულა: არ გვინდოდა გვეთქვა, მაგრამ ის ბიჭი, ჩვენ რომ გვირტყამდა, შენი ძმის მკვლელია. სახეზე რომ არ იცნობ, იმიტომ ბედავს ამდენს და აქაც იმიტომ ჩამოვიდა...

გოჩა გაფითრდა, იმ ბიჭისკენ გაიხედა, რომელზეც უთხრეს, ძმა მოგიკლაო, მერე ადგილს მოსწყდა და სახლისკენ გაიქცა. რამდენიმე წუთში დაბრუნდა, ხელში გარდაცვლილი ძმის ხანჯალი ეჭირა, ბიჭს მივარდა და სანამ ხალხი მიხვდებოდა რა მოხდა, შვიდჯერ ჩაარტყა. დაჭრილი საავადმყოფოში გააქანეს, გოჩა — გლდანის ციხეში. საბედნიეროდ, დაჭრილი გადარჩა, გოჩას კი მკვლელობის მცდელობისთვის ცხრა წელი მიუსაჯეს...

გლდანის ციხეს მაშინ ალექსანდრე მუხაძე დირექტორობდა. რეჟიმის უფროსი ოლეგ ფაცაცია იყო და შესაბამისად, ციხეში სისხლის გუბეები იდგა. საკანში, სადაც გოჩა ჩასვეს, კიდევ 7 პატიმარი იჯდა. ერთ დღეს, კამერაში ფაცაცია თავის დამქაშებთან ერთად გამოჩნდა და გოჩას გარდა ყველა პატიმარი სცემა... ორი კვირის შემდეგაც ასე განმეორდა... მერე კიდევ... ერთხელაც გოჩამ ჰკითხა — მე რატომ არ მირტყამთ?

ფაცაციას გაეცინა და გიჟებს არ ვცემთო, უპასუხა. გოჩა ჩაფიქრდა, მთელი ღამე დადიოდა საკანში, დილით კი პატიმარ 0578-ს მიადგა.

— ჯანმრთელობის ცნობა მინდა სასწრაფოდ... დღესვე მინდა და დამეხმარე, — სხაპასხუპით მიაყარა.

— დღესვე არ გამოვა, გოჩა, მაგას ანალიზები უნდა, კვლევა... მთელი ამბები და თან რად გინდა ცნობა, ხარივით ხარ ისედაც, ვერ ატყობ?

— მინდა და რაც შეიძლება მალე.

პატიმარი 0578 კართან მივიდა და ნაცნობი ექიმის მოყვანა ითხოვა. მერე რაღაც უთხრა და საღამოს გოჩას ფურცელი მიაწოდეს, რომელზეც ეწერა, რომ ის სრულებით ჯანმრთელი იყო.

ორი კვირის შემდეგ, როცა საკანში ფაცაცია გამოჩნდა, გოჩამ წინ ფურცელი დაუდო და უთხრა — აი, სრულებით ჯანმრთელი ვარ, ვიღაც ნაბოზარი ხომ არ ვარ, რომ არ მცემ, მეც მცემე! ფაცაციას გაეცინა. მისმა რეაქციამ გოჩა სულ გადარია — მცემე მე შენი დედა...

ფაცაცია გაფითრდა... მერე რაცია მოიმარჯვა და რეჟიმს გამოუძახა. გოჩა საკნიდან გაიყვანეს და აღარ შემოუყვანიათ.

რამდენიმე თვის შემდეგ პატიმარი 0578 რუსთავის 17 დაწესებულებაში გადაიყვანეს. დილით, როცა ზონა გაიღო, გოჩას მოჰკრა თვალი და მისკენ ღიმილით დაიძრა. გოჩას უაზრო, ცივი, არაფრისმთქმელი მზერა ჰქონდა. არ მიესალმა, არაფერი უთქვამს, ისე გაშორდა.

— რა სჭირს ამას? — იკითხა პატიმარმა.

— გლდანში ფაცაციასთვის უგინებია. ისეა ნაცემი, გარეკა საწყალმა. აქ რომ მოვიდა, პირველი, რაც გააკეთა, ორი სვირინგი დაიხატა ტანზე. ერთი საფლავის ქვაა და მისი ძმის სახელი აწერია, მეორე სახელია — ქრისტინე აწერია მკერდზე. არავის ეკონტაქტება, დადის ჩუმად და სვირინგებს ეფერება...

რამდენიმე კვირის შემდეგ, გოჩა სასწრაფო დახმარების ექიმებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს. თურმე მკერდზე ის ნაწილი დაუსერავს, რომელზეც ქრისტინე ეწერა. მოგვიანებით გაიგეს პატიმრებმა, რომ წინა კვირას ქრისტინე გათხოვდა და ქორწილი ჰქონია...

# „რკინიგზის შემოვლითი გზა აფერა იყო უძრავი ქონების გაყიდვის თვალსაზრისით“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა „საქართველოს რკინიგზაში“ არსებული მდგომარეობის შესახებ განცხადება გაავრცელეს. პარტიის შეფასებით, კომპანიამ წელიწადნახევარში განიცადა 10-წლიანი რეგრესი, რაც იმის შედეგია, რომ სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ კომპანიას არაკომპეტენტური ხალხი მართავს: **„2014 წლის გადაზიდვების გეგმად განისაზღვრა 20 მილიონი ტონა ტვირთი, რაც 2011 წლის მაჩვენებელია. აპრილის მონაცემებით, მოსალოდნელი შესრულება არის 15 მილიონი ტონა, ეს არის 2004 წლის მაჩვენებელი. ანუ კომპანიამ წელიწადნახევარში განიცადა 10-წლიანი რეგრესი, რაც იმის შედეგი, რომ სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ კომპანიას მართავს სრულიად არაკომპეტენტური ხალხი. ესაა იმის შედეგი, რომ მოხდა გადამზიდავის მონოპოლიზება და ისეთი სატარიფო პოლიტიკის შემოღება, რომელიც იძლევა კორუფციული გარიგებების დადების შესაძლებლობას. ასეთ ვითარებაში, ცხადია, საუბარი ზედმეტია როგორც თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობაზე, რომლის დასაფინანსებელი სახსრებიც რკინიგზას აღარ აქვს, ისე შეკვეთებზე ელმავალმშენებელი და ვაგონმშენებელი ქარხნებისთვის, რომელთა თანამშრომლების უდიდესი ნაწილი თვეებია უხელფასო შვებულებაშია. საქართველოს რკინიგზაში არსებული პრობლემების გამო: მილიონობით ტონა დაკარგული ტვირთი აზიიდან ევროპაში ხვდება საქართველოს გვერდისავლით, ანუ რუსეთის გავლით და ესაა დაკარგული კონკრეტული შემოსავლები საქართველოსთვის. ეს ნიშნავს, რომ ხდება საქართველოს სტრატეგიული ფუნქციის – აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი დერეფნის სრული ეროზია, რაც ძალიან შემაშფოთებელი ტენდენციაა“.**

პარტიის განცხადებით, არაკომპეტენტური მენეჯმენტისა და ბიძინა ივანიშვილის ნათესავის, უჩა მამაცაშვილის რკინიგზის საქმიანობაში ჩარევის შედეგად, საქართველოს რკინიგზამ 2013 წელს 3 მილიონი ტონა ტვირთი დაკარგა: **„ჯერ კიდევ 2014 წლის იანვარში ვთქვით, რომ საქართველოს რკინიგზის არაკომპეტენტური მენეჯმენტისა და რკინიგზის საქმიანობაში მამაცაშვილის ჩარევის შედეგად, საქართველოს რკინიგზამ 2013 წელს დაკარგა 3 მილიონი ტონა ტვირთი, შემცირდა ნავთობპროდუქტის, მარცვლეულის, შაქრის, რკინისა და მარგანეცის მადნის, ფერადი ლითონების, ქიმიური და მინერალური სასუქების, კონტეინერების, რეფრიჟერატორული ვაგონებით გადაზიდული ტვირთების მოცულობა. გაუარესდა ყველა ძირითადი ტვირთის გადაზიდვის დინამიკა“.**

ნაციონალური მოძრაობის ბრალდებებს, „საქართველოს რკინიგზამ“ საგანგებო განცხადებით და ოპერატიული მონაცემების გასაჯაროებით უპასუხა: **„საქართველოს რკინიგზის“ ოფიციალურ ინტერნეტგვერდზე შეგიძლიათ იხილოთ დიდი ოთხეულის მიერ აუდირებული 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება, რომლის მიხედვით ნათელია, რომ 2013 წელს რკინიგზამ შეძლო როგორც საერთო შემოსავლების, ასევე სატვირთო გადაზიდვებიდან მიღებული შემოსავლების ისტორიული მაქსიმუმის მიღწევა. აგრეთვე, 2014 წლის მაისის გადაზიდვები გაზრდილია დაახლოებით 100 ათასი ტონით, 2013 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. სახეზეა ზრდის ტენდენცია და არსებობს ყველა წინაპირობა, რათა 2014 წლის საერთო შემოსავლებმა გადააჭარბოს 2013 წლის რეკორდულ მაჩვენებელს.**

**2014 წლის 5 თვის ოპერატიული მონაცემებით, „საქართველოს რკინიგზის“ შემოსავალმა შეადგინა 189,7 მლნ ლარი, რაც 8,3%-ით (14,5 მლნ ლარი) მეტია 2013 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. სატვირთო ოპერაციებიდან შემოსავალი გაზრდილია 8,1%-ით (13,7 მლნ ლარი) და შეადგინა 181,6 მლნ ლარი, რაც განპირობებულია მშრალი ტვირთების გადაზიდვიდან მიღებული შემოსავლის ზრდით. კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა სამრეწველო ნედლეულის, შაქრის, მადნეულის, ქიმიური და მინერალური სასუქების, შავი ლითონისა და ჯართის გადაზიდვებიდან მიღებული შემოსავალი. მზარდი დინამიკით გამოირჩევა ასევე მარცვლეული, ცემენტი და სამშენებლო ტვირთები, როგორც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში, ასევე 2014 წლის განმავლობაში. სხვა სატვირთო ოპერაციებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 41 მლნ ლარი, რაც 18,1%-ით მეტია 2013 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. შემოსავალი სამგზავრო გადაყვანიდან გაიზარდა 9,6%-ით და შეადგინა 6,2 მლნ ლარი“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას, ექსპერტი **სანდრო თვალჭრელიძე** აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობის არ სჯერა და ობიექტური რეალობის დასადგენად, პარტიის შეფასებებს ვერ მიიღებს. მისივე თქმით, საქართველოს რკინიგზა მთლიანობაში კარგად მუშაობს. თუ დღევანდელი მთავრობაც რკინიგზის სადგურის ქალაქის ცენტრიდან გადატანას დაიწყებს, გავაკრიტიკებ: **„თავის დროზე, რკინიგზის ხელმძღვანელმა ეზუგბაიამ ლონდონში ჰეჯინგი გააკეთა, საქართველოს კანონმდებლობით კი, საჰეჯინგო ოპერაციები აკრძალულია; ეს ნიშნავს – მან იყიდა ვალდებულებები და შემდეგ ამ ვალდებულებებით აქციები შეიძინა, სახელმწიფო ქონების გაქირავების უფლება მას არ ჰქონდა, ამიტომ თვითონვე გადადგა თანამდებობიდან და ძიება მიმდინარეობს. დანარჩენი, ნაციონალური მოძრაობა რასაც ამბობს, საერთოდ არ მჯერა. ბოლოს როდის იმგზავრეთ მატარებლით? ნორმალურად დადის, დროზე შემოდის, სუფთა ვაგონებია, განსაკუთრებით პირველი კლასი, ინტერნეტი მუშაობს... ამ თვალსაზრისით, პრობლემებს ვერ ვხედავ. საკმაოდ სწრაფად მოძრაობს, რასაკვირველია, ლიანდაგს რეაბილიტაცია სჭირდება და მეჩვენება, რომ ნელ-ნელა ყველაფერი გაკეთდება.**

**რაც შეეხება შემოვლითი რკინიგზის დაკონსერვებას – მას იმიტომ აკეთებდნენ, რომ ქალაქის ცენტრიდან რკინიგზის სადგური გაეტანათ. ძალიან არ უყვარს ბატონ სააკაშვილს აჭარის ყოფილი ლიდერი, მაგრამ მის გზას გაყვა – რკინიგზის სადგურის გაყიდვა უნდოდა. ნებისმიერ ქალაქში რკინიგზის სადგური ქალაქის ცენტრშია. ჩვენ კი, თბილისის ზღვაზე უნდა გადაგვეგდო; ეს შემოვლითი გზის გაკეთება აფერა იყო, უძრავი ქონების გაყიდვის თვალსაზრისით.**

**დღევანდელი ხელისუფლება შემოვლითი გზის გაკეთებას აპირებს რკინიგზის სახსრებით, როცა მოგება იქნება დაგროვილი და პროექტს უკვე სხვა დატვირთვა ექნება. თუკი ქალაქის ცენტრიდან რკინიგზის სადგურს გადაიტანენ, მაშინ ეს არასწორი ქმედება იქნება და შესაძლებლობის ფარგლებში ამასაც გავაკრიტიკებთ“.**



# რუსეთი დიპლომატიური ურთიერთობის აღსადგენად პირველ ნაბიჯს საქართველოსგან ელის?

## რა იმაღება კარასინის განცხადებებსმიღმა

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **გრიგორ კარასინი** აცხადებს, რომ რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღსადგენად პირველი ნაბიჯი ქართულმა მხარემ უნდა გადადგას. მისივე თქმით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმ კეთილი ტრადიციების აღსადგენად, რომელიც ყოველთვის არსებობდა ქართველ და რუს ხალხს შორის: **„2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთს არ გაუწყვეტია, ამიტომ მათი აღდგენის ფორმალურ მხარეზე ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ. მიუხედავად ამისა, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა აღვადგინოთ ის კეთილი ტრადიციები, რომელიც ყოველთვის არსებობდა ქართველ და რუს ხალხს შორის“.**

კარასინის თქმით, ამ მიზნით, თავდაპირველად, საჭიროა პრაქტიკული საკითხების განხილვა ტრანსპორტის, ვაჭრობის, ჰუმანიტარულ სფეროებში: **„ივლისის შუა რიცხვებში, პრაღაში, ჩემი და ზურაბ აბაშიძის მორიგი შეხვედრა იმ სფეროებში თანამშრომლობის გაფართოებას შეეხება, სადაც ეს დიპლომატიური ურთიერთობების გარეშეა შესაძლებელი“.**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, **მაია ფანჯიკიძის** განცხადებით, სანამ სამი წინაპირობა არ შესრულდება, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაზე საუბარი არ იქნება. როგორც ფანჯიკიძემ აღნიშნა, საქართველოს არც ერთი ნაბიჯი რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღსადგენად არ გადაუდგამს: **„განცხადება, რომ დიპლომატიური ურთიერთობის აღსადგენად პირველი ნაბიჯი საქართველომ უნდა გადადგას, ადრეც მოგვისმენია. საქართველო ვერ გადადგამს რუსეთის მიმართულებით დიპლომატიური ურთიერთობების აღსადგენ ნაბიჯს, რადგან საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ, საქართველოს ორი განუყოფელი ნაწილის დამოუკიდებლობა აღიარა რუსეთმა, ცხინვალსა და სოხუმში რუსეთს დიპლომატიური წარმომადგენლობები აქვს და არ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს“.**

მაია ფანჯიკიძის თქმით, დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესრულდება 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, მოხდება დეოკუპაცია და აღიარების უკან წაღება. ფანჯიკიძისვე მტკიცებით, არც ერთ ფორმატში, რომელიც დღეს რუსეთთან არსებობს, არ განიხილება დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის საკითხი.

რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის, **ზურაბ აბაშიძის** თქმით, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა „ახალ რეალობასთან“ შეგუება და იმის დადასტურება იქნება, რომ ცხინვალი და აფხაზეთი საქართველოს ნაწილი აღარაა: **„ეს საკითხი დღის წესრიგში რომ დადგეს, აფხაზეთსა და ცხინვალთან დაკავშირებით სერიოზული პროგრესი უნდა მოხდეს. კონფლიქტების დარეგულირებას ვგულისხმობ“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი **ირაკლი მენაღარიშვილი** ამბობს, რომ დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა რუსეთთან, თბილისის ლოგიკური და გარდაუვალი რეაქცია იყო იმ რეალობაზე, რომელიც ქართულ-რუსულ ურთიერთობებში ღია აგრესიამ შექმნა: **„იგულისხმება ტერიტორიების ოკუპაცია, ე.წ დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა და საქართველოს სუვერენულ მიწაზე თბილისის გარდა ორი „დიპლომატიური მისიის“ დაარსება. ეს რეალობა საქართველოსთვის მიუღებელია. სანამ, მინიმუმ ვითარების ნორმალიზება არ დაიწყება, დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე კი არა, ამ წინადადების განხილვაზეც კი ზედმეტია საუბარი. ნორმალიზაციის პროცესი გულისხმობს, რომ მეზობელი სახელმწიფოები, რომლებსაც კეთილმეზობლური ცხოვრება სურთ, ელემენტარულად, უნდა თანამშრომლობდნენ, ერთმანეთის ინტერესებს ითვალისწინებდნენ და ამას საფუძვლად ორმხრივი ინტერესების ურთიერთგაგება და ღრმა პატივისცემა ედოს. სამწუხაროდ, საქართველოსა და რუსეთს შორის ამგვარი პირობა, ჩვენი დამოუკიდებლობის პირველივე დღიდან ვერ ჩამოყალიბდა. რუსეთს სურს, მთლიანად კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში იმგვარი ვითარების შექმნა, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს ჰქონდა; საქართველოსთვის ეს მიუღებელია, რადგან ეს სუვერენიტეტის შელახვას ნიშნავს. რაც შეეხება რუსეთის ამ მესიჯს –საერთაშორისო და მათ შორის რუსულ საზოგადოებას ახსენებს, რომ ჩვენ შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა თბილისის ინიციატივა იყო. რასაკვირველია, თვით ბატონ კარასინსაც არ აქვს ილუზია და საერთაშორისო თანამეგობრობამ, ასევე რუსეთის პოლიტიკური კლასის უმრავლესობამ კარგად იცის, რომ ეს საქართველოს ინიციატივა არ გახლდათ – ეს 2008 წელს განვითარებული მოვლენების შედეგი. ზოგადად, რუსეთის დიპლომატიას ასეთი სტილი აქვეს — დაჟინება, ერთსა და იმავეს გამეორება, მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს. ახლა ამ სტილის კიდევ ერთი გამოვლენა გვაქვს, მეტი არაფერი“.**

# სუდოკუ

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | | 1 | 8 | | | |
| | | 6 | | | 9 | | | 7 |
| 8 | | 1 | | | 3 | 5 | | |
| | | 2 | | | | | 7 | |
| 9 | 1 | | | 8 | | | 6 | 2 |
| | 5 | | | | | 9 | | |
| | | 8 | 1 | | | 3 | | 4 |
| 2 | | | 9 | | | 7 | | |
| | | | 8 | 5 | | | 9 | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 6 | | | | | | | |
| | 4 | | 6 | | | | 9 | |
| | | | | 3 | 7 | 5 | | |
| 6 | 1 | | | 7 | | 2 | | |
| 9 | | | 2 | | 8 | | | 7 |
| | | 2 | | 6 | | | 5 | 1 |
| | | 1 | 3 | 5 | | | | |
| | 3 | | | | 2 | | 8 | |
| | | | | | | | 1 | 5 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | | | 8 | | 7 | 6 |
| 7 | 3 | | | | | 4 | | |
| | 6 | | 7 | | 9 | | | |
| 6 | | | | | 4 | | | |
| | | 3 | 2 | 8 | 6 | 1 | | |
| | | | 3 | | | | | 5 |
| | | | 9 | | 2 | | 8 | |
| | | 5 | | | | | 9 | 4 |
| 9 | 7 | | 8 | | | 6 | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 2 | | | | | | | 4 |
| | | | | 9 | | 6 | 2 | 1 |
| | | 4 | | 5 | 2 | 3 | | |
| | | 6 | | | 4 | | 3 | |
| | | 2 | | | | 7 | | |
| | 9 | | 6 | | | 8 | | |
| | | 1 | 2 | 4 | | 9 | | |
| 2 | 5 | 9 | | 7 | | | | |
| 6 | | | | | | | 5 | 7 |

# უჩვეულო მასაჟი დანით

ტაივანელები რომ მასაჟის დიდოსტატები არიან და უჩვეულო გამაჯანსაღებელ პროცედურებს იყენებენ, ეს ყველასთვის ცნობილია. სწორედ ასეთია მასაჟი ყასბის დანით და ქვეყანაში საკმაო პოპულარობით სარგებლობს, თუმცა მის გაკეთებას მხოლოდ მამაცები ბედავენ. აღსანიშნავია, რომ საყასბო დანით მასაჟს ჩინეთში 2000 წლის წინ აკეთებდნენ. ამ პროცედურის დროს კლიენტის სხეულს ინსტრუმენტს ბასრი პირიდან დაახლოებით 10-ჯერ ურტყამენ და ამბობენ, რომ ამ მასაჟის დროს სხეულის ენერგია თავისუფლდება, ძლიერდება სისხლის ნაკადი და მას მავნე ნივთიერებები, ტოქსინები სცილდება. დანებით მასაჟი დაახლოებით 10 წუთს გრძელდება და მისი ღირებულება ტაივანში 3.30 დოლარია.

# პოპულარული ხალხის სულს ინტერნეტით ყიდის

აშშ-ში მცხოვრებმა ქალბატონმა უჩვეულო ბიზნესი ააწყო — ცნობილი ადამიანების სულებით ვაჭრობს და მისი ინტერნეტმაღაზია SoulsRUs უკვე ნახევარი წელია მუშაობს, თუმცა, მედიის ყურადღების ცენტრში ახლა მოექცა. მოლი გეითსის მაღაზიაში ერთი სულის ღირებულება 15 დოლარია. სულის ადგილზე მიტანის სერვისი მხოლოდ შეერთებულ შტატებში მოქმედებს და მყიდველს 5 დოლარი უჯდება. გეითსის მაღაზია კლიენტებს ნებისმიერი სულის შეძენას სთავაზობს, რომელიც შუშის ქილაშია „მოთავსებული“, რეალურად კი, იქ ვარდისფერი სუბსტანციაა ბრჭყვიალებით, რომელიც ბამბის ნაყინს მოგაგონებთ. ყოველ ქილას მიკრული აქვს იმ პოპულარული ადამიანის სახელი, ვისი სულიც „დაიჭირა“ ქალბატონმა გეითსმა შემკვეთის სურვილით. ყველა „სულზე“ ფასი ერთნაირია, გამონაკლისი მაღაზიის მეპატრონემ მხოლოდ ჯასტინ ბიბერის სულზე დაუშვა და ის 50%-იანი ფასდაკლებით მიყიდა, რადგან მოლის ერთი სული ჰქონდა, როდის მოიშორებდა ამ „პროდუქციას“. ინტერნეტმაღაზია 2013 წლის 18 დეკემბერს ამოქმედდა, დღემდე გეითსმა წარმატებით „დაიჭრა“ და „გაყიდა“ რაიან გოსლინგის, ბიონსეს, ოპრა უინფრის, ჯენიფერ ლოურენსის, რეპერ დრეიკის „სულები“ ცოტა ხნის წინ კი მან გასაყიდად მეთიუ მაკკონაჰის „სულიც“ გამოიტანა. როგორც მოლი ამბობს, ადამიანის სულებზე იმ დროს „ნადირობს“, როცა მათ სძინავთ, თუმცა არ ამხელს „სულის ამოცლის“ ტექნოლოგიას. მყიდველებს კი ურჩევს, ქილა არ გახსნან, რადგან „გათავისუფლებული სული რას მოიმოქმედებ, არავინ იცის“.

# „ქელეხი“ დისკოს სტილში

აშშ-ში, ახალ ორლეანში მცხოვრები მირიამ ბურბანკის დაკრძალვას, რომელიც 53 წლის ასაკში გარდაიცვალა, მისი ახლობლების სურვილით, წვეულების სახე მისცეს. გარდაცვლილი მაგიდასთან იჯდა, სიგარეტით ხელში, წინ ლიქიორი და ლუდი ედგა, განწყობას კი მხიარული საცეკვაო მუსიკა ქმნიდა. „დისკოს სტილში“ ქელეხის გადახდის იდეა მიცვალებულის ქალიშვილებს მოუვიდათ თავში. მათი თქმით, დედა სიცოცხლისმოყვარული ადამიანი იყო, ამიტომ გადაწყვიტეს, მისთვის „მხიარული“ დაკრძალვა მოეწყოთ, ისეთი, როგორიც მირიამის ცხოვრების სტილს შეეფერებოდა. გამოპრანჭული და აკურატულად დავარცხნილი მიცვალებული, შავი სათვალით, მაგიდასთან დასვეს. მაგიდაზე იყო ლუდის ქილა, ლიქიორი, სიგარეტი და კროსვორდების კრებული (ყველაფერი, რაც უყვარდა გარდაცვლილს). ერთი ღერი სიგარეტი ხელში მასაც დააჭერინეს. შვილებმა დედას ფრჩხილები შავი და ოქროსფერი მანიკურითაც შეუღებეს, მისი საყვარელი ფეხბურთის გუნდის პატივსაცემად. ოთახში კი დისკო-მუსიკა უკრავდა. როგორც ბურბანკის შვილებმა განაცხადეს, ოჯახის სხვა წევრებსაც მოეწონათ უჩვეულო დაკრძალვა.

# წინა ნომერში გასუდლი სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 8 | 3 | 1 | 2 | 9 | 7 | 6 |
| 7 | 9 | 3 | 8 | 5 | 6 | 4 | 2 | 1 |
| 6 | 2 | 1 | 9 | 7 | 4 | 3 | 8 | 5 |
| 3 | 1 | 7 | 6 | 4 | 9 | 8 | 5 | 2 |
| 2 | 8 | 6 | 7 | 3 | 5 | 1 | 4 | 9 |
| 4 | 5 | 9 | 2 | 8 | 1 | 7 | 6 | 3 |
| 1 | 3 | 5 | 4 | 6 | 8 | 2 | 9 | 7 |
| 9 | 7 | 4 | 5 | 2 | 3 | 6 | 1 | 8 |
| 8 | 6 | 2 | 1 | 9 | 7 | 5 | 3 | 4 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 2 | 8 | 1 | 6 | 9 | 7 | 3 | 5 |
| 7 | 1 | 6 | 8 | 3 | 5 | 2 | 4 | 9 |
| 9 | 3 | 5 | 2 | 4 | 7 | 1 | 8 | 6 |
| 2 | 9 | 3 | 7 | 8 | 6 | 4 | 5 | 1 |
| 6 | 8 | 1 | 5 | 2 | 4 | 3 | 9 | 7 |
| 5 | 4 | 7 | 9 | 1 | 3 | 6 | 2 | 8 |
| 3 | 7 | 9 | 6 | 5 | 2 | 8 | 1 | 4 |
| 1 | 6 | 4 | 3 | 9 | 8 | 5 | 7 | 2 |
| 8 | 5 | 2 | 4 | 7 | 1 | 9 | 6 | 3 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 9 | 6 | 5 | 7 | 3 | 8 | 2 | 1 |
| 1 | 5 | 2 | 9 | 8 | 6 | 7 | 4 | 3 |
| 8 | 3 | 7 | 1 | 4 | 2 | 6 | 5 | 9 |
| 7 | 6 | 4 | 3 | 1 | 5 | 9 | 8 | 2 |
| 5 | 2 | 3 | 8 | 9 | 4 | 1 | 6 | 7 |
| 9 | 1 | 8 | 2 | 6 | 7 | 4 | 3 | 5 |
| 3 | 4 | 9 | 7 | 2 | 8 | 5 | 1 | 6 |
| 2 | 8 | 1 | 6 | 5 | 9 | 3 | 7 | 4 |
| 6 | 7 | 5 | 4 | 3 | 1 | 2 | 9 | 8 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 3 | 6 | 8 | 4 | 7 | 2 | 1 | 9 |
| 2 | 1 | 4 | 6 | 3 | 9 | 7 | 8 | 5 |
| 9 | 8 | 7 | 5 | 2 | 1 | 4 | 3 | 6 |
| 6 | 5 | 2 | 7 | 1 | 4 | 3 | 9 | 8 |
| 4 | 9 | 1 | 3 | 8 | 6 | 5 | 7 | 2 |
| 3 | 7 | 8 | 9 | 5 | 2 | 6 | 4 | 1 |
| 1 | 6 | 3 | 4 | 9 | 5 | 8 | 2 | 7 |
| 8 | 2 | 5 | 1 | 7 | 3 | 9 | 6 | 4 |
| 7 | 4 | 9 | 2 | 6 | 8 | 1 | 5 | 3 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 3 | 7 | 6 | 2 | 5 | 1 | 8 | 9 |
| 6 | 1 | 5 | 9 | 8 | 4 | 3 | 7 | 2 |
| 2 | 9 | 8 | 1 | 3 | 7 | 6 | 5 | 4 |
| 1 | 7 | 3 | 5 | 4 | 2 | 9 | 6 | 8 |
| 9 | 2 | 6 | 8 | 1 | 3 | 7 | 4 | 5 |
| 8 | 5 | 4 | 7 | 9 | 6 | 2 | 3 | 1 |
| 7 | 6 | 2 | 4 | 5 | 1 | 8 | 9 | 3 |
| 5 | 8 | 1 | 3 | 7 | 9 | 4 | 2 | 6 |
| 3 | 4 | 9 | 2 | 6 | 8 | 5 | 1 | 7 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | 4 | 6 | 3 | 8 | 7 | 5 | 2 |
| 5 | 8 | 3 | 7 | 4 | 2 | 1 | 9 | 6 |
| 7 | 6 | 2 | 5 | 1 | 9 | 8 | 4 | 3 |
| 4 | 3 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 2 | 5 |
| 2 | 7 | 9 | 4 | 5 | 6 | 3 | 8 | 1 |
| 6 | 5 | 8 | 3 | 2 | 1 | 4 | 7 | 9 |
| 3 | 4 | 7 | 1 | 9 | 5 | 2 | 6 | 8 |
| 9 | 2 | 6 | 8 | 7 | 3 | 5 | 1 | 4 |
| 8 | 1 | 5 | 2 | 6 | 4 | 9 | 3 | 7 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 7 | 1 | 8 | 9 | 4 | 6 | 5 | 3 |
| 9 | 8 | 6 | 5 | 2 | 3 | 7 | 4 | 1 |
| 4 | 5 | 3 | 6 | 1 | 7 | 2 | 9 | 8 |
| 3 | 6 | 7 | 4 | 5 | 2 | 8 | 1 | 9 |
| 1 | 2 | 5 | 9 | 8 | 6 | 4 | 3 | 7 |
| 8 | 9 | 4 | 3 | 7 | 1 | 5 | 6 | 2 |
| 7 | 3 | 2 | 1 | 6 | 5 | 9 | 8 | 4 |
| 6 | 1 | 9 | 2 | 4 | 8 | 3 | 7 | 5 |
| 5 | 4 | 8 | 7 | 3 | 9 | 1 | 2 | 6 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 5 | 7 | 6 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 2 | 9 | 6 | 1 | 8 | 5 | 7 | 4 | 3 |
| 8 | 3 | 1 | 4 | 9 | 7 | 6 | 5 | 2 |
| 3 | 6 | 9 | 8 | 5 | 1 | 2 | 7 | 4 |
| 7 | 4 | 5 | 3 | 2 | 9 | 8 | 1 | 6 |
| 1 | 2 | 8 | 7 | 6 | 4 | 9 | 3 | 5 |
| 6 | 8 | 4 | 9 | 1 | 3 | 5 | 2 | 7 |
| 5 | 1 | 3 | 2 | 7 | 8 | 4 | 6 | 9 |
| 9 | 7 | 2 | 5 | 4 | 6 | 3 | 8 | 1 |

მე-10 გვერდი: 1. ინდოეთი; 2. ვახშამი; 3. იაქი; 4. დეპუტატი; 5. ეგრისი; 6. ინინგი; 7. ვიადუკი; 8. ხრესილი; 9. ალაო; 10. ნდოლა; 11. ექსპორტი; 12. იბისი; 13. ეტეოკლე; 14. გასეტი; 15. დარეჯანი; 16. რამაზი; 17. ოდა; 18. ვანგა; 19. ურია; 20. ირლანდია; 21. აისი; 22. დიახ; 23. კალვილი; 24. არბატი; 25. ეტი; 26. ბებია; 27. ამინ; 28. ჯიუ-ჯიცუ; 29. ბრონქსი; 30. „ბლუ“; 31. ჯემალ; 32. „ილ“; 33. ბარძიმი; 34. გასიონი; 35. გვადი; 36. აარე; 37. ოტური; 38. იაბო; 39. აბი; 40. ანარა; 41. გლახუნა; 42. ტაროსი; 43. რაი; 44. არნო; 45. ფატა; 46. სიძვა; 47. რასიზმი; 48. „ნივეა“; 49. რაფსოდი; 50. რქა; 51. ნიუ; 52. აჯა; 53. უფა; 54. ანა; 55. ვეა; 56. ბირმა; 57. ფიდე; 58. ფხა; 59. ელდარი; 60. ფაუ; 61. ავია; 62. ტენცო; 63. აზია; 64. ლა; 65. ისევ; 66. დალი; 67. ბაროუ.

მე-12 გვერდი: 1. მუშტი; 2. ტაქსი; 3. მულატი; 4. შანელი; 5. „იმედი“; 6. ტერეშკოვა; 7. ქანაანი; 8. ილეთი; 9. პლანშე; 10. ალგებრა; 11. კვირინალი; 12. ბრონტე; 13. ტინა; 14. ბავკიდე; 15. ტალკი; 16. შტაბი; 17. ვილია; 18. ღვინო; 19. აპეური; 20. ურო; 21. ინი; 22. რკინა; 23. იაუზა; 24. აგნი; 25. ავი; 26. სიო; 27. ბრინჯაო; 28. ნოდარ დუმბაძე; 29. კიკბოქსინგი; 30. სან; 31. კოსინუსი; 32. ოლდ; 33. უმანკო; 34. კაკადუ; 35. ქატო; 36. ირაო; 37. ნიასა; 38. ნერონი; 39. იტურუპი; 40. ერი; 41. აზუ; 42. მორტირა; 43. კოშმარი; 44. სალი; 45. იერიქონი; 46. დანი; 47. კარამელი; 48. ომარი; 49. აგულიასი; 50. ინინი; 51. პირლო; 52. ასპიტი; 53. ნუგა; 54. იაკი; 55. ქსუ; 56. რონდო; 57. ონდატრა; 58. ძნა; 59. კრუპიე; 60. მიო; 61. სიესტა; 62. აბრისი; 63. სიმონი; 64. მურილიო; 65. აფთი; 66. ონილი; 67. კაენი; 68. ზნე; 69. პან; 70. ფრაუ; 71. უპე; 72. ალტი; 73. გეზი; 74. დია; 75. ურა; 76. ძია; 77. სე; 78. ჭკა; 79. სპურტი; 80. სი; 81. ტეს; 82. ტრანსი; 83. ეიკი; 84. ალექსია; 85. ესაია; 86. რეა; 87. კარჭაპი.



1. მეომრის დამცავი თავსაბურავი
2.სხვისთვის მისაბაძი საქციელი
3. ინდიელის ფეხსაცმელი
4.უკრაინული მინიატუმობილის მარკა
5.კამბოჯის ფულის ერთეული
6.ორგანიზმის დაბერების შემსწავლელი მეცნიერება
7.ჩრდილოკავკასიური ცეკვა
8. „გარდამავალი“ ჯილდო სპორტში
9.მაკედონიის რესპუბლიკის დედაქალაქი
10. სასულთნო აზიაში
11. ახალი აბრეშუმის გზა ანუ ...
12.მაკაკების ოჯახის მაიმუნი
13.ყინულის მთა ოკეანეში
14. ნესვის ხე
15.ლოცვის დასკვნითი სიტყვა
16. კანფეტების „ვინეგრეტი“
17. მარადიული ქალაქი
18. ინდური კობრა
19. პოლიციელი საფრანგეთში
20. ინდიელი ქალი
21. მზიდან ყველაზე დაშორებული პლანეტა
22. რეკორდების წიგნი
23. თიხის „ტაფა“
24. ქალაქი უკრაინაში
25. დილის ჰანგი ტრუბადურთა პოეზიაში
26. რბილი ქსოვილის გრძელტოტებიანი თავსაბურავი მამაკაცებისთვის
27.ჩრდილოამერიკელ ინდიელთა ქოხი
28. ...-კლარჯეთი
29.ოპტიკური მოვლ. ატმოსფ.
30.ძველებური წონის ერთეული
31.სოფელი სენაკის რაიონში
32. იქსის“ „კოლეგა“
33.ინდოეთის შტატი
34. ახალგაზრდა მეზღვაური
35. ყალმუხეთის დედაქალაქი
36.ვინმეზე გაწეული უანგარო შრომა
37.ქართლის მეფე „აბესალომ და ეთერში“
38. ნემსის ჩხვლეტით მკურნალობა
39.ატმოსფერული ნალექის სახეობა
40. „რომაული არდადეგების“ რეჟისორი
41. არქიტექტურული სტილი
42.ინდური ფილოსოფიური მოძღვრება
43. ღამის ფრინველი
44.ქართული ფილმი „თოჯინები ...“
45.სოფელი ყაზბ. რ-ში
46.საბანკო ტერმინი
47. არამუსლიმანთა ფანატიკურად მოძულე პირი
48.ბიძია-ბაბუას სატრფო „შერეკილებში“
49.ცისფერი ნილოსის სახელწოდება ეთიოპიაში
50. სპარსი პოეტი ... ხაიამი
51. პოეტური გამოცანა
52. ალ. მაკედონელის კარის მხატვარი
53. პატარა გამოქვაბული კლდეში
54.ფრანგ. თოჯინების თეატრის პერსონაჟი
55.წესრიგის დამცველი ორგანო სსრკ-ში
56.ინდოელი ქალის ეროვნული სამოსი
57.თევზის სუპი
58.მდინარე რუსეთში
59. ძუძუმწოვართა სხეულის „მოტორი“
60. საბჭოთა თვითმფრინავის მარკა
61.მოგზაური ნიკოლოზ მიკლუხო-...
62. ქალაქი ბელგიაში
63. დაბალი ბუსუსები ქსოვილზე
64. ქიმიური ელემენტი, მეტალი
65.მდინარე აზიაში
66.კიბერნეტიკის „მამა“
67. მიცვალებულთა დასატირებელი საგალობელი
68. ლეგენდარული ქართველი კალაბურთელი
69. მუსიკოსი ... ჯაგერი
70. ღვინის ობი
71.ფეხსაცმლის საპირესა და ლანჩის შემაერთ. ზოლი
72. ძველი ქართული ფილმი „პაპა ...“
73. იაპონური თეატრის სახეობა
74. ტოკიოს ძველი სახელწოდება
75. ძვ. ფრანგული ოქროს ფული
76. კოლუმბის მშობლიური ქალაქი
77. მუსიკალური გამის I ნოტი
78. მდინარე რუსეთის ევროპულ ნაწილში, ვოლგის შენაკადი
79. პირისახის ძვალი
80. მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო
81. ტოლი, ბადალი, შესადარი
82. ჰოლივუდის ლეგენდა ვივიენ ...
83. ინგლისელი მწერალი ივლინ ...
84.თურქული ტელესერიალი „ქალბატონი ...“
85. ამერიკული ნიანგი
86. ბრძოლის წარმოების წესები
87. ბინძური თავლების პატრონი


Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ტელეკომპანია „თრიალეთი“

რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით

032 239 38 23
599 25 13 31
www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge
თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

# სუდოკუ

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | | 7 | | | | 5 |
| 7 | 9 | | 6 | | | 2 | | |
| | | 3 | | | 9 | | | |
| 2 | | | | 6 | | 4 | | |
| 6 | | 8 | 1 | | 3 | 7 | | 2 |
| | | 7 | | 5 | | | | 6 |
| | | | 9 | | | 6 | | |
| | | 6 | | | 2 | | 7 | 4 |
| 3 | | | | 4 | | 5 | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | | | | | 6 | 8 |
| | | 3 | | | 6 | 1 | | 9 |
| 1 | | | | | 2 | | 7 | |
| | | 7 | | 6 | 1 | | 3 | |
| | | | | | | | | |
| | 1 | | 3 | 5 | | 7 | | |
| | 8 | | 1 | | | | | 7 |
| 3 | | 5 | 6 | | | 8 | | |
| 9 | 6 | | | | | 4 | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | 5 | | 1 | | | | |
| 9 | | | 3 | | | | 1 | |
| | | 8 | | | | | | |
| 4 | | 2 | 1 | 9 | | | 6 | |
| 1 | | 7 | 6 | 8 | 4 | 3 | | 5 |
| | 8 | | | 2 | 7 | 4 | | 1 |
| | | | | | | 7 | | |
| | 6 | | | | 2 | | | 9 |
| | | | | 3 | | 1 | 8 | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | | 5 | | 9 | | 6 | |
| | | 8 | 7 | | | 5 | | |
| | 2 | | | | | | | 9 |
| 3 | | | 9 | | 2 | | 5 | |
| 7 | | | | | | | | 2 |
| | 1 | | 3 | | 6 | | | 8 |
| 8 | | | | | | | 9 | |
| | | 3 | | | 1 | 6 | | |
| | 5 | | 8 | | 3 | | | 4 |

# ყველაზე უაზრო სიკვდილი

ზოგიერთი ადამიანი სიცოცხლეს ისე სულელურად ემშვიდობება, რომ ამ ტრაგიკული ფაქტის წაკითხვისას შეიძლება სიცილით მოკვდე. გამჭრიახებმა „დარვინის პრემიაც“ კი დააწესეს ყველაზე იდიოტური სიკვდილისთვის და მას, რასაკვირველია, გარდაცვალების შემდგომ ანიჭებენ. ახალ წიგნში — „სიკვდილის 1001 სულელური მეთოდი“ ამდენივე ისტორიაა პრემიის პოტენციური ლაურეატებისა. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს, რომელიც ბრიტანულმა „სანმა“ გამოაქვეყნა.

ამერიკელ ვილი მერფის, ალბათ შეეშინდა, როცა ჯორჯიის შტატში, არაქისის გადამამუშავებელ საწარმოში ამ პროდუქტის „ზღვაში“ აღმოჩნდა, თუმცა მისი შეგრძნებები ყველასთვის გაუგებარი დარჩა, რადგან მამაკაცმა ვერ მოახერხა არაქისის „ზვავიდან“ ამოსვლა.

1988 წელს გამოცდილმა სკაიდაივერმა ივან მაკგუაიერმა გადაწყვიტა, გიჟური ნაბიჯი გადაედგა და ჩრდილოეთ კაროლინაში, 3 ათასი მეტრის სიმაღლიდან საკუთარი ნახტომი თავადვე გადაეღო ვიდეოკამერაზე. ბუნებრივია, მან ამ მომენტისთვის ზურგჩანთაში კამერა ჩადო, მაგრამ ყველაზე მთავრის — პარაშუტის წაღება დაავიწყდა...

1998 წელს, როცა კამერუნელი ქურდი ჰენრი მბონგო კიდევ ერთხელ შეეცადა ქათმის მოპარვას, გაბრაზებულმა ადგილობრივებმა შეიპყრეს და აიძულეს, შეეჭამა ყველაფერი, რაც მოიპარა. საწყალ ქურდს ქათმის ძვლები და ბუმბული გაეჩხირა ყელში და ასფიქსიით გარდაიცვალა.

ფრანგული დამკრძალავი ბიუროს მფლობელს, მარკ ბურჯადს 1982 წელს თავისივე მაღაზიაში მზა კუბოების მთელი წყება დაეცა თავზე და მიღებული დაზიანებებისგან ადგილზევე მოკვდა. მამაკაცი ახლობლებმა ერთ-ერთი „მკვლელი“ კუბოთი დაკრძალეს.

რამდენად მტკიცედ შეგიძლიათ საკუთარი მოსაზრების დაცვა? აი, ბრიტანელმა მაიკლ ტოიემ ამისთვის სიცოცხლე გაწირა. ახალგაზრდა ცდილობდა, თავისი მეგობრისთვის დაემტკიცებინა, რომ უაიტ-სპირიტი იწვის. ამის დემონსტრირებისთვის მან ეს სითხე გადაისხა და ცეცხლი აანთო. საშინელი დამწვრობისგან ტოიე 6-დღიანი წამების შემდეგ გარდაიცვალა.

1996 წელს კიდევ ერთი ბრიტანელი გარდაიცვალა სულელურად — ჰემპშირელმა მარკ გლისონმა გადაწყვიტა, საკუთარი თავისა და მეზობლებისთვის „წყნარი“ ღამე მოეწყო. ხმამაღლა რომ არ ეხვრინა, ქალის ჰიგიენური ტამპონები შეიტენა ნესტოებში და ძილში უჰაერობისგან გარდაიცვალა.

არიზონის მცხოვრები როჯერ უოლესი 2001 წელს საკუთარმა რადიომართვადმა თვითმფრინავმა მოკლა. წამით მან მზეს შეხედა და 3-კილოგრამიანი მფრინავი მანქანა თვალთახედვის არედან დაკარგა. არადა, თვითმფრინავი ცხვირწინ მოფრინავდა საათში 65 კილომეტრის სიჩქარით და უოლესს თავში დაეჯახა. მოყვარული ავიატორი ადგილზე გარდაიცვალა.

შეიძლება ითქვას, რომ დათვური სამსახური გაუწიეს სუდანელებს ბელგიის საჰაერო ძალების წარმომადგენლებმა, რომელთაც სურსათით სავსე ყუთი ჩამოაგდეს. „სასურსათო დახმარება“ სამ სუდანელს თავში დაეცა და იქვე მოკლა. არადა, ბელგიელი პილოტები ჰუმანიტარულ მისიაში მონაწილეობდნენ, სუდანელები შიმშილით სიკვდილისგან რომ ეხსნათ.

ძნელი იქნება ალბათ, ისეთი უბედური ადამიანის მოძებნა, როგორიც მარტოხელა, 18 წლის ბელგიელი ბიჭი იყო. ის რუსულმა „მიგმა“ შეიწირა. პილოტმა კატაპულტირება ჯერ კიდევ პოლონეთის ტერიტორიაზე მოახდინა, მაგრამ თვითმფრინავმა ავტოპილოტით 900 კილომეტრი იფრინა და როცა საწვავი გაუთავდა, საწყალი ბიჭის სახლს დაეცა.

სწავლულები გვიკიჟინებენ, სიცილი სიცოცხლეს გვიხანგრძლივებსო, თუმცა, ზოგ შემთხვევაში პირიქით ხდება. მაგალითად, 1975 წელს 50 წლის ამერიკელი ალექს მიტჩელი ისე იცინოდა პოპულარული BBC The Goodies-ის სერიალის ყურებისას, რომ გულის შეტევით გარდაიცვალა. მისმა ქვრივმა შოუს მსახიობებს წერილიც კი მიწერა, ქმარს სიცოცხლის ბოლოს ასეთი ბედნიერი წუთები რომ აჩუქეს.




ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

# დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

125
დაცვის პოლიცია

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

**GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

www.125.ge

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

## იცხოვრეთ მშვიდად

**დაზოგეთ წელიწადში 300 ლარი**

ბინა – 60 ლარი

აგარაკი – 100 ლარი

ბინას + აგარაკი = 135 ლარი

**დაცვის პოლიციის მიერ დაცული სააგარაკე ზონებია:**

წყნეთში, ბეთანიაში, კოჯორში, საგურამოში, შინდისში, ტაბახმელაში, ოქროყანაში, წავკისში, ბორჯომში, ბაკურიანში, კვარიათში, ურეკში, გონიოში, სარფში, ნაბახტარში, მისაქციელში, ჟოპორტში, ბულაჩაურში, არაგვისპირსა და ნითელსოფელში.

www.125.ge SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

## იცხოვრეთ მშვიდად

**დაიცავით თქვენი ქონება თანამედროვე დაცვითი სისტემებით**

**დაცვის პოლიცია თავის საქმიანობას მაღალი კლასის სატრანსპორტო საშუალებებით ახორციელებს. დედაქალაქსა და რეგიონებში მოქალაქეთა უსაფრთხოებას ოპერატიული რეაგირების 60 ეკიპაჟი ემსახურება.**